მეგრულთა ასეთი ღვთისმსახურების არას-რულყოფილება კიდევ დიდი ხანი გაგრძელ-და. არქიმანდრიტი თეოფანე გაბუნია (1854-1859 წლებში ჭყონდიდელი ეპისკოპოსი), რომელმაც 1852 წელს შემოიარა ჯვრის მახრა და აღწერა ამ მახრის ყველა ეკლესია და მათში მომსახურე სამღვდელთა, მღვდელმსახურთა დაბალ დონის ამსახველ არაერთ ცნობას გვაწვდის. ზოგმა მღვდელმა წერა-კეთხვაც არ იცოდა და მღვდელმსახ-ურებას (თუ კი ამას მღვდელმსახურება ერქვა) მამა-პაპური წესით ასრულებდა და ღოცვას ზეპირად, თავისებური სიტყვებით წარმოთქვამდა, ზოგმა მღვდელმა კი კითხვა ძლივს იცოდა. სამღვდლონი არც მარხვისა და სხვა საეკლესიო წესების დაცვით გამოირჩეოდნენ... ეკლესიაში შექმნილი ამგ-ვარი მდგომარეობა ღირსეულ საეკლესიო მოღვაწეთა საწუხარს წარმოადგენდა. დიდი ანტონ ჭყონდიდელი (1731-1815) ქადაგებებში კიცხავდა ამგვარ სამღვდლოებას და შეახსენებდა უფლის სიტყვებს **“თქვენ ხართ ნათელნი სოფლისანი”** და არიგებდა, რომ **“თუ სოფლის სიხენეში ადგრევი”** იმას მოიძიო რაზეც სოლომონ ბრძენი გვახსენებ-დაო – **“შური სიხენეშისა დააბნელებსო სულსა”**. მღვდელი, რომელიც **“ცოდვისგან მოუძღვრებული ხარ, სხუას ვითარ განკურნებ”**-ო, კითხვით მიმართავს მათ (ანტონ ჭყონდიდელი, ქადაგებანი, ქუთაისი, 1983, გვ.186).

სამეგრელოს ეკლესიაში არსებული ასეთი მდგომარეობის გამოსწორებას ესწრაფვოდა მოვარი დავით დადიანი, რომელიც თვითონ დიდი მორწმუნე იყო და ამისათვის პირველი ნაბიჯები ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე გადადგა. 1840 წელს გამოსცა ბრძანება სამღვდლოების ყმობიდან განთავისუფლების შესახებ. მღვდელი სო-ციალურად ახნაურს გაუტოლდა. სამეგრე-ლოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე-თა შერწყმაც კი მის დროს მოავრის უნებ-ურად არ ხდებოდა. ეკლესიური ცხოვრების გაჯანსაღებისაკენ მიმართულმა ამგვარმა ნაბიჯებმა მალე გამოიღო ნაყოფი. სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზი თე-დორე ხოშტარია (1832-1907) რომელიც სამ-თავრო კართან ძლიერ დაახლოებული იყო, თავის მოგონებებში აღწერს საადგომო სამზადისს დავით დადიანის დროინდელ ზუგდიდში, რომლის თვითმხილველიც იყო. აქ ვაგაცნობთ მოზრდილ ნაწევრებს ამ მოგონებებიდან, რომელიც ზუგდიდის მუზეუმ-შია დაცული, რადგან ეს მოგონებები არა-სოდეს გამოქვეყნებულა (მას ახლა მე ვამზადებ გამოსაცემად). მიუხედავად სი-ლიდისა, იმდენად ცოცხალ, ზედმიწევნილ სურათს ხატავს ძველი ზუგდიდის საად-გომო სამზადისისა თვედორე ხოშტარია, რომ ჩვენი მკითხველი, დარწმუნებული ვარ ერთი ამოსუნთქვით წაიკითხავს მას.

აი, რას სწერს იგი: **“როდესაც ეკლესიაში შაბათს დღესასწაულის დღეებში მწუხრზე და დაისზე მე წავიკითხავდი დიდ საეკლესიო წიგნებს, განსვენებული მთავარი (დავით დადიანი), როგორც მოყვარული საღმრთო წიგნების კითხვისა, ზედ გვერდით დამიდგე-ბოდა და როგორც თვალს ადევნებდა ჩემს კითხვას და ვგრეთვე თან ჩემთან (ერთად) ხმადაბლა, თვითონაც სიამოვნებით კითხუ-ლობდა წიგნს. მაგრამ ვინც კი შეხვდებოდა იმისთანებში, რომლებიც ვერ კითხულობდნენ ეკლესიაში რიგიანად საეკლესიო წიგნებს და ტიბიკონისამებრ ვერ მოიქცეოდნენ წიგ-ნის მკითხველნი და მეფსალმუნენი, მათ კი აძლევდა საყვედურს და თუ კი შენიშნავდა მკაცრად გაუწერებოდა”. საეკლესიო წესების დაცვის მიმართ დადიანის ასეთი მკაცრი დამოკიდებულების გამო ზუგდიდში დიდი დღესასწაულების დროს **“და მეტადრე ვნების კვირაში ბრწყინვალე პასექის დღესასწაულზე ხომ უადმატებულეს ხარისხამდე აღიწეოდა დღესასწაულობითი****

ღვთის მსახურება და ღვთისმსახურება. მგა-ლობლები ორ ხორად გაიყოფოდნენ თვით ურჩეულებსა მგალობელთაგან, რომლებიც შესდგებოდა ერთ მხარეს როგორც მეგრე-ლიის თვით მაღალ წოდების თავადთაგან ერთად მღვდელმთავრის მგალობლები, ვგრეთვე მეორე მხარეზედ სტუმრად წვეულთ იმერელთა და გურულთა მაღალ-წოდების მგალობელთაგან და ერთი მეორის წახალისებით ორივე მხარის მგალობელი აღტაცებაში მოჰყავდათ მსმენელები”. მთავარი დიდის გამოჩინებით და დღესასწაულობით მიეგებებოდა ბრწყინვალე პასექის დღესასწაულთა დღესასწაულს. სამისა და ორის კვირის წინ შეუდგებოდა თადარიგს.

დაიწყოდა როგორც საქართველოდან (ამ დროს საქართველოს ეპისკოპოსი ქართლ-კახეთს – ა.ტ.), იმერეთიდან, გურიიდან და აფხაზეთიდან წერილობით წარჩინებულთ მოწვევას. ვგრეთვე თავის სამთავროს-აგან, თითოეულს პატივად ნათლით შემოსილის დღესასწაულისა, დიდ შაბათს საღამოს მიერთ-მებოდა მაღალი კელაპტრები. ხოლო ეკლე-სიის გარშემო გარეთ კედელი ეკლესიისა და სასახლის ეზო და მშვენიერებით განათე-ბული ბაღი, ისრე გაჩაღდებოდა ურიცხვი ფერად-ფერადი ჭრატებით და ჩირადნებით. შუა დამემდე ერთი საათი რომ რჩებოდა, ისრე პირველი ზარბაზანი გავარდებოდა, რომ ყველანი მომზადებულიყვნენ ეკლესიაში მოსასვლელად. მეორე ზარბაზანი კიდევ გავარდებოდა, რომ ეკლესიაში ყოფილიყვნენ შემოკრებილნი და თორმეტის შესრულების-თანავე ბრწყინვალე ადგომის ცისკრის ღვთისმსახურება დაიწყო. სახარება წარიკითხებოდა ქარ-თულად და ბერძნულად ბერძნის არქიმან-დრიტისაგან... ეკურთხებოდა რა ტაბლა, ყოველის მხრით გრივად ათასობით ხმა – **“ქრისტე აღსდგა მკვდრებით...”** ამის შემდეგ ყველა თავის სახლს მიაშურებდა და **“დიდი და პატარა წითელი კვერცხების მირთმევით, გავლით”** იწყებოდა მისვლა-მოსვლა ერთმანეთთან დღესასწაულის მის-ალოცად” (თვედორე ხოშტარიას მოგონებები, ზუგდიდის მუზეუმში, ლიტ.არქივი, №798, 1922წ. გვ.15-17).

აქ შეიძლება ზოგს გაუკვირდეს, ბერძენი არქიმანდრიტის მიერ ზუგდიდის ეკლესიაში ბერძნული სახარება რატომ იკითხებოდაო, მაგრამ ამას ყოველწლიური ხასიათი არ უნდა ჰქონოდა. ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა უკვე ბერძენის მიერ ხელში ჩაგდებ-ბული იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი, რომელსაც ქართველები ჯვარის მამას ეძახდნენ, სამეგრელოში იმყოფებოდა სარტოკოდ ან თავის საეკლესიო ყმებისაგან სარგოს ასაკრფავდ. ჯვარის მამები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქეში – კორცხელის ეკლესიაში იდგნენ ხშირად.

როგორც ჩანს, 1853 წელს, რა დროს ამ-ბეებსაც აღწერს თვედორე ხოშტარია, ჯვარის მამა სამეგრელოში იყო ჩამოსული და მას, როგორც ქართველთაგან ესოდენ პა-ტივებული მონასტრის არქიმანდრიტს, საად-გომო წირვაში მიადებინეს მონაწილეობა. დასასრულს, ცოტა რამ ადგომის დღესასწაულის ისეთ მთავარ ატრიბუტზე, რო-გორცაა წითელი კვერცხი. იგი ძველთაგანვე მარადიული სიცოცხლის სიმბოლოს წარ-მოადგენდა. წითელი ვერტიკული კვერცხის შეღე-ბით ქრისტიანები სიმბოლურად აღნიშნავენ მცხოვრის მიერ ჩვენთვის, მოკვდავთათვის დანთხუელ სისხლს. ამიტომაცაა, რომ კვერცხს ადგომამდე სამი დღით ადრე, წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს რომ დებავენ. ადგომას წინ უსწრებს დიდ-მარხვა (მეგრულად – პინჯანი), რომელიც ადგომის დადგომისთანავე მთავრდება. ადგომის დღესასწაული ერთი კვირა – კვირაცხოვლამდე (ახალ კვირამდე) გრძელდებ-და და მას ნათელი კვირა ეწოდება.

მოგესალმებით ბატონო როლანდ და გვინდა თხოვნით მოგმართოთ. ჩავიწერეთ ბატონ დილარ ივარდავას ეს შესანიშნავი, ტკივილით აღსავსე ლექსი. შეიძლება თქვენი გაზეთის ფურცლებზე კი იყო წინა წლებში დაბეჭდილი, მაგრამ მაინც უმორჩილე-სად გთხოვთ მის კვლავ დაბეჭდვას. 1992 წლის 6 იანვარს, გამთენიისას, აღაიანთან ზუგდიდში მიმავალ კოლხი ბატალიონის ჯარისკაცებს დაუხვდნენ ჩასაფრებული პუტჩისტები, გადაგვარე-ბული ქართველები და ავტობუსში ერთიანად ამოხოცეს.

**იქ, აღაიანთან ქართველთა სისხლია, ქართველთა ხელებით უღმერთოდ დაღვრილი,**  
**– ყურს თუ დაუგდებთ – იმ დღიდან ისვრინან,**  
**ყოველი თენება ყმუისო ძაღლივით. იმ 6 იანვრიდან ჩემს სულში ნის-ლია,**  
**გული კი საცაა გასკდება ნაღმივით იქ, აღაიანთან თურმე რომ ინათა, ქართველმა ქართველი ტყვეებით დაცხრილა.**  
**მითხარით, ამ ბორჯის წამიერ ბი-ნადარს,**  
**სულში ვინ ჩაუსახლა კანის ბაცილა?! იქ, აღაიანთან სისხლი ვინც დაღ-ვარა,**  
**ის სისხლს თვის ძმისას დაანთხევს დღესაც.**  
**აკი გამოვიტა ხალხი და დაღალა, მოძმისთვის დღესაც ხმაღს გულდა-ვულ ლესავს.**  
**ის ბავშვებს და ქალებს მიტინგზე ძაღლს უსევს,**  
**სიმართლეს, სხვა აზრი გუნებას უფუჭებს,**  
**ჭეშმარიტ ქართველებს უმზადებს მარყუჭებს.**  
**იქ, აღაიანთან დაღვრილი სისხლი, გავა დრო, უამრავ ურწმუნოს მონათ-ლავეს,**  
**აიწონება სულ მისხალ-მისხალით საქმენი რაინდთა, ასევე მონათა.**  
**წარმოჩინდება ცხადად და ნათლად-და განსჯის უფალიც მტყუანს და მართალს.**  
**იქ, აღაიანთან დაღვრილი სისხლი სულს მონურს ჩაწიხლავს,**  
**სამშობლოს იხსნის ბატონო როლანდ, წინასწარ უღრმეს მაღლობას მოგახსენებთ. გფარავდეთ ღმერთი თქვენ და ჩვენს მონატრე-ბულ სამშობლოს – საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახ-ურდიას გვარდიელები ლეჟან ზაალიშვილი, ბიორბი ციხ-ისთაპი, ბერძია ღუფუშაური, ზაზა შორაბანი,**  
**9 აპრილი, 2016 წელი დამასკო, სირია**

**სირჩინუა**  
 ტანც ლახარა აშეკილოთ, აშეხვარხ-მალ, კორწვექ მარა, ვართ მოკო იბრჩინ-შე;  
 მუთუნი „დოხტური“ ხატ გონჭყორელც ეთის ვახვარ:  
 ათეს ჯოხო თი ნავარი სირჩინუე. ვამინქუნო: თაქ მიარო ვართ მა გაბრძექ  
 დურა მურე: ართი თოლიში მოწკუ-რუა;  
 ტყურა ვარე, ჯვეში ორე ნარაგადუ; ბეჭიქ დურუ მუშ მოთაშა ოწურუა. რინა ხილო მწურუმულო ითებენო, ჯვირ დო ფური აკაშქექ დო გოწყორენი;  
 ორჩინუეს რინას შხვანერი ნოღეე გემო.  
 შური ნწარე რე დორონთიში გონჭყორელი.  
 ვაგოკოდას სირჩინუეშ მიკანჭაფუ; ტყურა ორე თი სამოთხე ზალე-ბური.  
 სი ჩინიე, სი ძობუნე თექ იჭყაფუ ვარლურსუ დო სერეფი დეგირზა-ლებუნი.  
**ბურამ ჯიძია ჩხოროწყუ, ლესიჭინე**

# უჩა ნანუაშვილი სახალხო დამცველი კი არა, მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერია

## ქეთევან ზარნაძე



სახალხო დამცველი თუ სახალხო დამრღვევი?! ვის უფლებებს იცავს ადამიანი, რომელსაც ხელფასს ის ხალხი უხდის, ვინც დღიდან ნანუაშვილის არჩევს, საკუთარი უფლებების დაცვას სახალხო დამცველის აპარატის მეშვეობით ვერ ახორციელებს!

ვისია უჩა ნანუაშვილი? ხალხის თუ ცხოველებად ქცეული ადამიანების მცირე ნაწილის დამცველი? კითხვა რომელზედაც პასუხს თავად ნანუაშვილის „მოღვაწეობა“ პასუხობს – სახალხო დამცველი სახალხო დამრღვევია!

რატომ ასე „მკაცრად“? საქმე ისაა, რომ ნანუაშვილისთვის, ისევე როგორც, მაგალითად, პროკურატურისთვის, შერჩევითია სამართალიც და უფლებების დაცვაც.

მეტიც, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ნანუაშვილისთვის არსებობს პრიორიტეტული საქმეები, ის დიდი სიამოვნებით იცავს ე.წ. უმცირესობას (ძირითადად სექსუალური და რელიგიური ნიშნით) და დიდი სიამოვნებით ებრძვის უმრავლესობას, ანუ ქართველ ხალხს. არადა, სწორედ ქართველი ხალხის მიერ ბიუჯეტში შეტანილი გადასახადებით სულდგმულობს ნანუაშვილის „სამეფო“!

უჩა ნანუაშვილის „საქმენი საგმირონის“ „მიმოხილვა“ დავიწყეთ მისი ბიოგრაფიიდან. ოფიციალური დოკუმენტით ირკვევა, რომ საქართველოს სახალხო დამცველი 1974 წლის აპრილში არის დაოჯახებული.

როგორც ჩანს, ნანუაშვილს ბიოგრაფიის შედგენისას გამორჩა შეეცნო გრაფა, რომელითაც გავიგებდით, რომელ აღმსარებლობას ეკუთვნის „ეკვერადე ბარნაბა“.

„ბოროტი ენები“ ამბობენ ნანუაშვილი ბაპტიტილი, საქართველოში უმცირესობას კი ეძახიან მსგავსი სექტის წევრებს, მაგრამ ევროპის ბევრ ქვეყანაში სექტანტური დაჯგუფებები აკრძალულია!

**...ის გაუზრუნველდა წარმოშობის სუბიექტი ჩვენი შვილების ექსპრესიასა და ტაძრებში წაყვანის აკრძალვას ითხოვს, სანთლის დანთებასა და ღოცვას უკრძალავს. როდესაც ჯვრის მონასტერი შეურაცხველია და არაბული წარწერები მიაწერეს მივმართე ხმა ამოელო, როდესაც პატრიარქს ქვეყნის მტერი უწოდა კომოსემსა ალთა ლიდიამა, მივმართე ხმა ამოელო, როდესაც მართლმადიდებლებს თავის დასახლებაში მივმართე ხმა ამოელო, მაგრამ არც ერთხელ ხმა არ ამოუღია და მართლმადიდებლობა ინტერესები არ დაუცვია.**  
**პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს სუბიექტი სახალხო დამცველი კი არა, არამედ პროკატორი და მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერია...**

ნანუაშვილის წლიური ხელფასი, მაგალითად, 2014 წელს 81.181.25 ლარს შეადგენდა.

მომდევნო წლებში ხელფასი გაეზარდა და შესაბამისად, მადაც (აღბათ), ყოველ შემთხვევაში, ბოლო დროს მის მიერ უტენდეროდ ნაყიდი ჯიპი ამის დასტურია.

2014 წლის დეკლარაციაში ვკითხულობთ:

„უჩა ნანუაშვილი ავეჯის შესყიდვა გასაავალი, 9.000.00;

უჩა ნანუაშვილი ავეჯის შესყიდვა გასაავალი, 2450.00;

უჩა ნანუაშვილი საოჯახო ტექნიკა გასაავალი, 1524.00“.

ვერავფერს ვიტყვი, გემოვნებას ნამდვილად არ უჩივის ბატონი „დამცველი“!

ჯანდაბას, მის სახლში რაც უნდა, ის შეიტანოს და თუ სურვილი გაუჩნდება გამოიტანოს კიდევ, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარ ამბიციებზე მორგება, კანონის დარღვევით, დასჯადია და ეს კი უნდა იცოდეს ნანუაშვილმა.

„შემაშფოთებელია, რომ არჩევნებამდე ნახევარი წლით ადრე კვლავ გააქტიურდა ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მიმართ ფარულად გადაღებული კადრების გამოქვეყნების საკითხი“, – სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი პირადი ცხოვრების ამ სახვეული კადრების გავრცელებას ფრიად მკაცრი ტონით ეხმაურება.

ომბუდსმენის თქმით, საზოგადოებისთვის არაერთ მსგავს საქმეზე დაწვეული გამოძიების შედეგები ცნობილი არ არის.

სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს პროკურატურა აღნიშნულ ფაქტს სწრაფად გამოძიებს და დამნაშავეები დაისჯებიან.

„საჯარო სკოლებში რელიგიური უმცირესობები ხშირად ხდებიან დისკრიმინაციული მოპერობის მსხვერპლი – ორგანიზებულად დაქვეით მართლმადიდებლურ ტაძრებში, ხდება მათი დალოცვა“, – ამის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშშია ნათქვამი.

ომბუდსმენის ანგარიშის თანახმად, რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებული მოსწავლეები ხშირად იძულებული ხდებიან არ გააქვედნონ აღმსარებლობა იმ მოტივით, რომ უმრავლესობისგან უფრო მეტიდ გარიყვას და დისკრიმინაციას აბრუნდებიან თავიდან.

– „საანგარიშო პერიოდში კვლავაც მწვავე და სისტემური ხასიათის პრობლემას წარმოადგენდა საჯარო სკოლაში ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნების, რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვისა და დისკრიმინაციულ და შეუწყნარებელ გარემოსთან დაკავშირებული საკითხები.“

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ასევე კრძალავს საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების არაკანონიერი მიზნით განთავსებას, საკლასო ოთახებსა და ზოგადად, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე კანონის ეს მოთხოვნა, როგორც წესი, არ არის დაცული. მაგრამ, ყოველივე ამასთან ერთად, პრობლემას ის გარემოებაც აღრმავებს, რომ უმცირესობები, უმეტესწილად, ერიდებიან დიდ და კონკრეტულად ისაუბრონ სკოლებში არაღიმიანტური აღმსარებლობის მოსწავლეებისადმი დისკრიმინაციული მოპერობისა და უფლებაშეზღვევის ფაქტებზე“, – აღნიშნულია ანგარიშში.

სახალხო დამცველის თქმით, რელიგიური უმცირესობები ერიდებიან მიმართონ რაიმე ქმედით, უფლებადაცვით ნაბიჯებს, რადგან მათ მიანიჭათ, რომ ამ შემთხვევაში ისინი უფრო მასშტაბური დისკრიმინაციის მსხვერპლი აღმოჩნდებიან.

„სახელმწიფოს პოლიტიკაც ამ მიმართულებით არ არის თანმიმდევრული, სტრატეგიულად და ტაქტიკურად კარგად გააზრებული. ერთეული შემთხვევების გარდა, არ ჩანს კანონის იმპლემენტაციის მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისა და დარღვევებზე რეაგირების პოლიტიკური ნება“, – ნათქვამია სახალხო დამცველის ანგარიშში. ვფიქრობ, საკადრისი პასუხი გასცა მას სოციალური ქსელის საშუალებით „ეროვნულების“ ლიდერმა სანდრო ბრეგვაძემ – „ეს გაუ-

რკვეველი წარმოშობის სუბიექტი ჩვენი შვილების ექსპრესიასე ტაძრებში წაყვანის აკრძალვას ითხოვს, სანთლის დანთებასა და ღოცვას უკრძალავს. როდესაც ჯვრის მონასტერი შეურაცხველია და არაბული წარწერები მიაწერეს მივმართე ხმა ამოელო, როდესაც პატრიარქს ქვეყნის მტერი უწოდა პომოსემსა ალთა ლიდიამა, მივმართე ხმა ამოელო, როდესაც მართლმადიდებლებს თავს დაესხნენ მივმართე ხმა ამოელო, მაგრამ არც ერთხელ ხმა არ ამოუღია და მართლმადიდებელთა ინტერესები არ დაუცვია.“

პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს სუბიექტი სახალხო დამცველი კი არა, არამედ პროკატორი და მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერია.

იმდენად მზაკვარი პროვოკატორია, რომ ცდილობს რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტები წარმოშვას, ხოლო შემდეგ ყოველივე ეკლესიას დააბრალოს. აღმსარებლობით სექტანტია და თავისი ოდიოზური სექტის ინტერესებს ემსახურება.

თითოეული დღე მისი ყოფნისა სახალხო დამცველის პოსტზე არის სერიოზული საფრთხის შემცველი, ხოლო მისმა ბრძოლამ მართლმადიდებლური სარწმუნოების წინააღმდეგ ამაზრუნეი ხასიათი მიიღო.

ფიქრობ საზოგადოება უნდა გავერთიანდეთ და მოვითხოვოთ ამ სუბიექტის გადაყენება სახალხო დამცველის პოსტიდან. მართლმადიდებლობის და ქართველობის მოძულეს არაფერი ესაქმება ამ უმნიშვნელოვანეს პოსტზე. მოვილოდებთ მხარი დაუჭიროთ ჩვენს ინციატივას და ბოლომდე მივიყვანოთ საქმე!!!

„ისეთ ინტერესებს“ ავლენს სახალხო დამცველი არ გამიკვირდება პირჯვარის გადაწერისთვის მარჯვენა ხელის მოჭრის ინციატივით გამოვიდეს უახლოეს მომავალში. „პატრონები“ მხარს არ დაუჭერენ თუ რა.

საინტერესოა, ჯვრის მონასტრის და პატრიარქის შეურაცხოვისთვის რატომ არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები?

კანონის დაცვა თუ მხოლოდ ნაცების და მისი „მონათესავე პარტიების“ წარმომადგენლებზე ვრცელდება, იქნებ განუმარტოს საზოგადოებას, როცა ქვეყანაში დღემდე წინა ხელისუფლების მიერ ნაწამებ, ქონებაწართმეული, ღირსებააყრილი, განადგურებული ადამიანებისთვის სამართლიანობის აღდგენა ოცნება იქცა, სახალხო დამცველი მხოლოდ იმას დარდობს, ვინ გაავერცელა მისი დაქალების „შეღიჭინის“ ფარული ჩანაწერები და ხმადამოღებულ ებრძვის მართლმადიდებლობას.

კანონით კი – „საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა ქმედებებს ან აქტებს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ, რომელთა მონაწილეც არის საქართველო“

2015 წლის ქალთა №5 დაწესებულების ვიზიტის შესახებ. ანგარიშში სახალხო დამცველს „გამორჩენილი“ აქვს ის საჭირობოროტო საკითხები, რითიც მართლაც დღემდე ირღვევა იმ ქალბატონების უფლებები, რომლებიც წინა ხელისუფლებამ უკანონოდ გამოეკტა ციხეში და დღემდე არა აქვთ საშუალება დატოვონ ციხის კედლები.

თუმცა არ დაავიწყდა და ვრცელი რეკომენდაციები ჩამოარაკრა ლებტ პატიმრების დასაცავად.

ანგარიშში შემოშავდეს სტრატეგია და ხელმძღვანელო პრინციპები, რომელიც უზრუნველყოფს ლებტ პატიმრების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმი-

ნაციული მიდგომების პრევენციას, გატარდეს სპეციალური ღონისძიებები დაწესებულების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებისათვის ლებტ პირთა უფლებების, საერთაშორისო სტანდარტებისა და დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსების შესახებ რისკების შესახებ,

განთავსებისას გათვალისწინებული იქნას დაცვის სპეციალური ღონისძიებები, რათა არ მოხდეს ლებტ პატიმართა განთავსება იმ პატიმრებთან, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას,

დაწესებულების ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ლებტ პატიმრების მონაწილეობას ციხის ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებში,

დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ლებტ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ჯგუფების ჩართვა სპეციალური პროგრამების დანერგვისათვის,

გაძლიერდეს ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის მუშაობა ლებტ პატიმრებთან და სხვა პატიმრებთან, რათა გაიზარდოს პატიმართა შორის მიმდებლობა, თვითიზოლაციისა და თვითდაზიანების რისკების პრევენციისათვის.

სამწუხაროდ, სახალხო დამცველი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის და მართლმადიდებლობის მტრების ინტერესების დამცველად გვევლინება.

მას „სახალხო დამცველობა“ უფრო შეეფერება, რადგან პირადი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, უპირობო ბინძური დაჯილდოების შემსრულებელია, მშვენივრად შეიფერა მსუყვე ცხოვრება, 120.000 ათას დოლარიანი ჯიპით „ლივლივებს“ და მივლინებებს არ იკლებს, ორგანული კანონი „მკაცრად“ იცავს მის ხელშეუხებლობას და მასს ხელიდან ხომ არ გაუშვებს?

– „საქართველოს სახალხო დამცველი ხელშეუხებელია.“

დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, საშუალო ავტომობილის ან პირადი განხრეკა საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტს.

თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული საქართველოს სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. საქართველოს პარლამენტი ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავარი პროკურატორის მიმართიდან არაუგვიანეს 14 დღისა“

2015 წლის ოქტომბერში საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე მექსიკის ქალაქ მერიდაში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის მიერ ორგანიზებულ მე-12 საერთაშორისო კონფერენციაში იღებდნენ მონაწილეობას. კონფერენციის მონაწილეები შემოუშავებენ მერიდას დეკლარაციას, რომელიც ომბუდსმენების განსაკუთრებულ და ახლებურ როლს გაუსვამს სახს ახლანდელ გავრცელებულ სოციალური ასამბლეის მიერ მიღებული მდგრადი განვითარების მიზნების 2030 შესრულებაში.

როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან იუწყებიან, მდგრადი განვითარების მიზნების 15 წლიანი გეგმა ითვალისწინებს მსოფლიოს მასშტაბით სიღარიბის აღმოფხვრას, თანასწორობის დამკვიდრებას, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებების რეალიზაციას, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, მთავრობების მიერ სხვადასხვა პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მოქალაქეების მონაწილეობის უზრუნველყოფას, სახელმწიფო სტრუქტურების ანგარიშვალდებულების გაზრდასა და ღია მმართველობის პრინციპების ხელშეწყობას.

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)



ეს მოხდა იმ დროს, როცა უფალი-ღმერთი არამარტო ცასა და მიწას, არამედ მცენარეებსაც და ცხოველებსაც ქმნიდა და იმწამსვე სახელსაც არქმევდა მათ.

იმ დროზე ბევრი თქმულება შემორჩა, და ყველა მათგანი რომ ცნობილი იყოს, მთელ ქვეყანაზე, რაც კი რამ გაუგებარია, გასაგები და ნათელი გახდებოდა.

და აი, ერთხელ, სამოთხეში უფალი იჯდა და ჩიტებს აფერადებდა, და საღებავი ადარ ყოფ, ისე რომ ჩიტბატონას ბარტყი კინადამ უფერო დარჩა; საქმეს იმან უშველა, რომ შემოქმედმა მთელი ფუნჯები იმ ჩიტბატონას ფრთებზე გაწმინდა.

მაშინ იყო აგრეთვე, რომ სახედარს ისეთი გრძელი ყურები ერგო, რადგან ვერა და ვერ დაიმასხოვრა თავისი სახელი.

ცოტას გაიფიქრა თუ არა, მაშინვე ავიწვდებოდა და ერთი საშუალო მაინც ბრუნდებოდა უკან, და რა მქვიაო, ეკითხებოდა. მაშინ ჩვენი უფალი-ღმერთი, ცოტა არ იყოს, მოთმინებიდან გამოვიდა, ყურებზე წაავლო ხელი და უთხრა:

“ვირი გქვია, – ვირი, ვირი, ვირი!” და ამის თქმაზე უწვედა და უწვედა ყურებს, სანამ ვირმა კარგად არ გაიგონა და არ დაიმასხოვრა თავისი სახელი.

იმ დღეს ფუტკარიც დასაჯა ღმერთმა. როგორც კი შექმნა, ფუტკარმა მისვე დაიწყო თავლის კეთება, ცხოველები და ადამიანები კი, თავლის ტკბილი სურნელის გამო მოდიოდნენ და მოდიოდნენ, რომ გაეხინჯათ. მაგრამ ფუტკარს მარტო თავისთვის უნდოდა შეენახა მთელი თავლი და ფუტკრის სკებთან ვინც მივიდოდა, ყველას კებდა.

“შე შენ ვიბოძე თავლის, ქვეყნიერებაზე უტკბილესი რამის კეთებისა და მოგროვების უნარი”, უთხრა ღმერთმა, “მაგრამ შენთვის იმის უფლება არ მომიცია, რომ სასტიკი იყო ახლოვლების მიმართ. დაიმასხოვრე, – შენ მოკვდები, როგორც კი ნექტარს ჩაასობ იმას, ვინც შენგან თავლის წაღებას მოისურვებს...”

მაშინ მოხდა, რომ ჭრიჭინა დაბრმავდა და ჭიანჭველამ ფრთები დაკარგა; იმ დღეს კიდევ ბევრი საოცარი რამ მოხდა.

უფალია, დიდებულმა და მშვიდმა, მთელი დღე სამოთხეში გაატარა, ქმნიდა და სიცოცხლეს ანიჭებდა, და როცა შესადამოვდა, პატარა ნაცრისფერი ჩიტის შექმნა მოისურვა.

– “დაიმასხოვრე, რომ გულწითელა გქვია!” – უთხრა ჩიტს ღმერთმა, ხელის-გულზე დაისვა და ჩიტი გაფრინდა.

აქტე გაფრინდა, იქით გაფრინდა, გაეცნო ქვეყანას, სადაც ბედმა არგუნა ცხოვრება, და მერე მოისურვა თავისი თავისთვის შეეხედა.

და მაშინ დაინახა, რომ მთლად ნაცრისფერია და გულიც ნაცრისფერი აქვს. გულწითელა ტრიალებდა, ყველა მხრიდან ათვალიერებდა თავის თავს წყალში და ერთ წითელ ბუმბულსაც ვერ ხედავდა. მაშინ ისევ ღმერთთან მიფრინდა. დიდებული და მშვიდი ღმერთი დაბრძანებულყოფილად, მისი ხელიდან ბელურები ფრენდნენ და ღმერთის თავზე მოთრიალებდნენ. მტრედეები ღულუნებდნენ მის მხრებზე, ხოლო ფეხებთან ირგვლივ ვარდები, შროშანები და სხვა ყვავილები იშლე-ბოდნენ.

პატარა ჩიტს შიშისაგან გული უკანკალებდა, მაგრამ მაინც სულ უფრო

და უფრო ახლოს მიფრინდა ღმერთთან და ბოლოს მის ხელზე ჩამოჯდა. მაშინ ღმერთმა ჰკითხა, რად დაბრუნდით.

მინდოდა ერთი რამე მკითხაო, მიუგო ჩიტმა. “რისი ცოდნა გაქვს?” – ჰკითხა ღმერთმა.

“რად მეძახიან გულწითელას, როცა ნისკარტიდან ბოლომდე სულ ნაცრისფერი ვარ? რად მეძახიან გულწითელას, როცა ერთი წითელი ბუმბულიც არ გამაჩნია?”

ჩიტმა ვედრებით შეხედა ღმერთს თავისი პატარა შავი თვალებით და თავი შეატრიალა – გარშემო იგი ხედავდა წითელ, ოდნავ ოქროსფერ მტკვრდაურულ ხოსბებს; თუთიყუშებს, ყელზე ფუმფულა წითელი ბუმბულით; წითელბიბილიან მამლებს;

# გულწითელა

ოქროს თევზებსა და წითელ ვარდებს ხომ ხედავდა და ხედავდა. რა თქმა უნდაო, გაიფიქრა ერთი პატარა წითელი ბუმბული მაინც რომ მქონდეს გულზე, საკმარისი იქნებოდა ულამაზესი ჩიტი ყოფილიყო, და მაშინ უფლება მექნებოდა მეტარებინა გულწითელას სახელიო.

“რადა მქვია გულწითელა, როცა სულ ნაცრისფერი ვარ?” – ისევ გაიმეორა და კვონა, ღმერთი ასე ეტყობა მას: “აჰ, პატარა მეგობარო, სულ დამავიწყდა შენთვის წითლად რომ შემელება გულზე ბუმბული. მოიცა, ახლავე გამოვასწორებ”. მაგრამ ღმერთმა მშვიდად გაიღიმა და თქვა:

“მე გულწითელა დაგარქვი და ეს იქნება შენი სახელი, მაგრამ შენ უნდა მოიპოვო წითელი ბუმბული გულზე”. ამ სიტყვებით მან ხელი ასწია და ჩიტი ისევ გასაფრენად გაუშვა. ჩაფიქრებით ფრენდა ჩიტი სამოთხეში. ასეთმა პაწია ჩიტმა, აბა რა შეიძლება გააკეთოს იმისთანა, რომ წითელი ბუმბული იშოვოს?

ერთი რამ მოუვიდა აზრად, ასკილის ბუნქში ბუდე დაქვია. ალბათ ეგონა, ყვა-ილის ფურცლები დამეყრება გულზე და იმათგან ფერს ვიცვლიო.

უთავალავი წელი გავიდა იმ ბედნიერი დღიდან. უკვე დიდი ხანია, რაც ცხოველებმა და ადამიანებმა დატოვეს სამოთხე და მთელ ქვეყანაზე გაიფანტნენ. ხალხმა ისწავლა მიწის დამუშავება და ზღვაზე ცურვა, შესამოსელისა და საცხოვრების კეთება, დიდებული ტაძრებისა და ისეთი ძლიერი ქალაქების შენება, როგორცაა თებე, რომი, იერუსალიმი.

და, აი, ისევ დადგა დღე, რა დღეც მრავალი წლის მანძილზე იქნება დირსახსოვარი კაცობრიობის ისტორიაში. იმ დილით გულწითელა იერუსალიმის კედლებთან ახლო, პატარა, შიშველ გორაკზე იჯდა და ბუდეში თავის ბარტყებს უგალობდა.

თავის შვილებს გულწითელა უამბობდა შექმნის საოცარ დღეზე, და იმაზე, რომ ღმერთმა ყველას სახელი უბოძა. ამ ამბავს ყველა გულწითელა უამბობდა თავის შვილებს, იმ პირველიდან მოყოლებული, ვისაც ღვთის სიტყვა ესმა და მისი ხელიდან აფრინდა.

“შოდა, ნახეთ”, სევდიანად თქვა, “იმ დღი-

დან უკვე იმდენმა წელმა გაიარა, იმდენი ვარდი გაიფურქნა, კვერცხებიდან იმდენი ბარტყი გამოიჩეკა, რომ ვერაფერ შემდგებლა იმთ დამოვლას, გულწითელა კი ისევ ისეთი პატარა და ნაცრისფერი ჩიტია და ჯერაც ვერ მოახერხა, ვერ დაიმასხოვრა წითელი ბუმბულიო”.

პაწაწებმა ფართოდ გაადგეს ნისკარტები და იკითხეს, შეეცადა თუ არა წინაპართაგან ვინმე რაიმე დიდი საქმე ჩაედინა და ეს ვახსენებდებოდა წითელი ბუმბული ეშოვნაო.

“ყველამ გავაკეთეთ ის, რაც შეგვეძლო”, მოიგო ჩიტმა, “მაგრამ ვერაფერ შეგძელით მიგვეღწია საწადელისათვის. პირველი გულწითელა ერთხელ თავის მსგავს ჩიტს შეხედა და ისე ძალიან შეუყვარდა, ისე მხურვალედ, რომ მკერდზე ცეცხლის ალი

ასლიოდა. “აჰ, გაიფიქრა მან, “ახლა მესმის: ღმერთს უნდა ძალიან, ძალიან მიყვარდეს და მაშინ ჩემს მკერდზე ბუმბული იმ ცეცხლისფერი ვახსდება, გულში რომ მინთა”. მაგრამ არაფერი გამოვიდა, არც იმას, არც ჩვენ და თქვენც ასე ხართ”.

ბარტყები ნაღვლიანად აუიფიქვნენ, წუხდნენ იმაზე, რომ თავიანთ პატარა ფუმფულა ყელზე ბუმბული წითლად არ უღუოდათ.

“თქვენი გალობის იმედიც კი გექონდა”, ისევ აგრძელებდა თავის ამბავს ბებერი ჩიტი. “უკვე პირველი გულწითელა მღეროდა ისე, რომ მკერდი უთროლოდა შთავარებისგან, და ფიქრობდა: აჰ, ის მგზნებარება, რაც მე მამღერებს, და რაც ჩემს გულში ღვივის, წითლად შედგება ჩემს ბუმბულსო. მაგრამ ცდებოდა, ისე როგორც ცვდებოდათ ყველა და ისე როგორც ცვდებით თქვენც”.

პაწაწებს ოდნავ დაელოთ პირი, ყელიდან საცოდავი წრიპინი აღმოხდათ. “ჩვენ ჩვენი ვაჟკაცობისა და გამბედაობის იმედიც გექონდა”, ისევ აგრძელებდა ბებერი ჩიტი. “ჯერ კიდევ პირველი გულწითელა მამაცურად შეებრძოლა სხვა ჩიტებს და მისი მკერდი ბრძოლის ალთ გიზიზიებდა. აჰ, გაიფიქრა მან, ჩემი ბუმბული ჩემს გულში მოგიზიზიებ ბრძოლის ცეცხლით შეიღება წითელ ფერად. მაგრამ ცდებოდა, როგორც ყველა ჩვენთაგანი და ისე როგორც ცვდებით თქვენც”.

პაწაწებმა გულდადა დაიწყო პინეს, ჩვენს შევეცდებით მივაღწიოთ ადოქმულსაო, მაგრამ ბებერმა ჩიტმა სევდიანად მიუგო, რომ შეუძლებელი რამ იყო ეს. რისი იმედი უნდა ჰქონდეთ, როცა იმდენი გამოჩენილი წინაპარი ვერაფერს გახდა? რადა უნდა გააკეთონ მათ სიყვარულის, სიმღერების და ბრძოლის გარდა? რა შეუძლიათ?..

ჩიტმა ვერ დაამთავრა ფრაზა ბოლომდე, იმიტომ, რომ იერუსალიმის ჭიშკრიდან ხალხის ბრბო გამოვიდა და იმ გორაკისაკენ გაემართა, სადაც იმისი ბუდე იყო. აქ იყვნენ ამაყ ცხენებზე მსხდარი მხედრები, მომხრები შუბებითა და ოროლებით, ჯაღათებით ღურსნებითა და ჩაქუნებით, დინჯად მავალი მღვდლები და მოსამართლეები, მოტირალი ქალები. ყველაზე წინ კი ღრიალით მოდიოდნენ ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილი მანქანები.

პატარა ნაცრისფერი ჩიტი იჯდა ბუდის პირზე და კანკალებდა. შეეშინდა, ასკილს გადაეჭლებოდა და პატარებს მომიკლავნო.

“აბა”, ეუბნებოდა თავის ბარტყებს, “ერთ-მანეთს” მაგრად მიეკარით და არ გაინძრეთ! აგერ, პირდაპირ თქვენზე მოაჭენებს იმ ცხენს მხედარი! აგერ-აგერ, მომარო მოდის აქეთკენ, სანდლები სულ რკინებით აქვს დაჭედვით! მთელი ბრბო აქეთ მოექანება! ჩიტი იმწამსვე მიხუმდა, დადუმდა. თითქმის დაავიწყდა, რა ხიფათიც ელოდა მათ.

უცებ ბუდეს მივიარა და ფრთებით ბარტყები დაიფარა. “არა, ეს მეტისმეტი საშინელებაა”, თქვა მან, “შე არ მინდა, რომ ამით ეს ნახონ – ჯვარზე გასაკრავად მიჰყავთ სამი ავაზაკი”.

და შეშინებულმა გაშალა ფრთები, რათა ბარტყებს არაფერი დაენახათ. იმთ მხოლოდ უროების დარტყმის გრიალი, შესაბრალისი კენესა და ხალხის ველური ყოინა ესმოდათ. გულწითელა უყურებდა მთელ ამ ამბავს. საშინელებისაგან ფართოდ გახელილ პატარა თვალებს იმ სამ ბედურს ვერ აშორებდა.

“რა სასტიკია ხალხი!” ფიქრობდა ჩიტი. “ის არა კყოფნით, რომ ეს სამი ღარბი ჯვარზე გააკრეს, არა, ერთ მათგანს თავზე ეკლის გვირგვინიც დაადგეს. ეკლები შუბლში ჩარტობია და სისხლი ჩამოსდის. თვითონ კი ისეთი მშვიდი გამოხედვა აქვს, არ შეიძლება არ გიყვარდეს. როცა ვხედავ, თუ რაივინ იტანჯება, ასე მგონია, ჩემს გულს პირბასრი სურები ჩასცვას”.

ჩიტი სულ უფრო და უფრო დიდი სიბრალულით იმსჯელებოდა ეკლის გვირგვინისაგან ჯვარცმულის მიმართ. “შე რომ ჩემი ძმა არვიცი ვიყო”, ფიქრობდა იგი, “ხელებიდან ღურსნებს ამოვაპრობო და ძლიერი კლანტებით მივერდი-მოვერდი იმის მწამებლებს”.

ხედავდა, სისხლის წვეთებით როგორ ევსებოდა შუბლი ჯვარცმულს და აღარ შეეძლო ბუდეში ჯდომა. “მართალია, პატარა და სუსტი ვარ, მაგრამ მაინც რაღაც უნდა გავაკეთო უბედური წამებულისათვის”, გაიფიქრა ჩიტმა. ბუდედან ამოფრინდა და მალა, ცისკენ გაფრინდა; ფართო ფრთებს ხაზავდა ჯვარცმულის თავზე მოთ.

დიდხანს ფრენდა გარშემო, ახლო მიფრენას ვერ ხედავდა, იმიტომ რომ პატარა, მშიშარა ჩიტი იყო და არასოდეს არ მიახლოებოდა ადამიანს. მაგრამ ცოტოცოტათი გამამაცდა, სულ ახლოს მიფრინდა და ჯვარცმულს შუბლში ჩარტობილი ერთი ეკალი ამოაძრო. ამ დროს ჩიტის გულს იმ წამებულის სისხლის წვეთი დაეცა. მალე გაიშალა და პატარ-პატარა ნახი ბუმბული შეუღებდა გულზე და ყელზე.

როცა ჩიტი ისევ ბუდეში მოფრინდა, ბარტყებმა დაიყვირეს: “გულზე ბუმბული წითელი გაქვს! ვარდით წითელი!”

“ეს, უბრალოდ, იმ საწყალი კაცის სისხლის წვეთია, შუბლზე რომ დასდის”, მიუგო ჩიტმა. “მაშინვე გაქრება, როგორც კი ნაკადულში გავიბანები”.

მაგრამ რამდენი არ განიბანა ჩიტი, წითელი ჩიშანი არა და არ ქრებოდა, და როცა ბარტყები დაიხარდნენ, ყელი და მკერდი დაიწითელდნენ და ჰქონდათ იმათაც შედებილი, და ეს დღის დღემდე ასე არის. **სელმა ლაბერლოვი, წიგნიდან “ლაბინდები მრისტაზე”**

## უჩა ნანუაშვილი სახალხო დამცველი კი არა, პროპაგატორი და მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერია

თავის გამოსვლაში უჩა ნანუაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება შეუძლებელია მხოლოდ მთავრობების მცდელობით და ამ პროცესში უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე.

“შე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მდგრადი განვითარების მიზნების რეალური შესრულება შეუძლებელია არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მაღალია საზოგადოების ცნობადობა ადამიანის უფლებების შესახებ, რამდენად შესწევს უნარი მოქალაქეებს აქციონ მთავრობები ან-გაიისშვალდებული მათ წინაშე.

ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება შევექმნა ადამიანის უფლებათა აკადემია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ადამიანის უფლებების შესახებ ფართო საგან-

მანათლებლო კამპანიის წარმოებაა, რაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს მისცევს შესაძლებლობას უფრო ფუნქციურად შეძლონ ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია”.

– როცა ქვეყანაში, სიღარიბის ზღვარს მიღმა უამრავი ადამიანია, მათი უმეტესობა კი ნანუაშვილზე ბევრად საღად მოაზროვნე რატომ უნდა ფინანსდებოდეს ქვეყნის სასიკეთოდ არაფრის მქნელი და მთქმელი „სახალხო დამცემი“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არ მესმის.

რამოდენიმე დღის წინ სახალხო დამცველის ოფისთან ნანუაშვილის გადადგომის მოთხოვნით ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციამ საპროტესტო აქცია გამართა.

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ სახალხო დამცველი დაკისრებულ ვალდებულებას – მოქალაქეების უფლებების დაცვას პირნათლად არ ასრულებს.

აქციის მონაწილეებს სახალხო დამცველის ოფისთან მოტანილი ჰქონდათ ბანერები “გადადგეს უჩა ნანუაშვილი”, “უჩა ნანუაშვილი მოქალაქეებზე არ ზრუნავს”.

არასამთავრობო ორგანიზაციების ბრალდებებზე კომენტარი გააკეთა სახალხო დამცველმა. უჩა ნანუაშვილის თქმით, სახელმწიფო ვალდებულია, რომ სახალხო დამცველის ოფისს შეუქმნას ფუნქციონირებისთვის ყველა პირობა.

“ჩვენ რომ შევექმნა სხვა მარკის ავტომობილი, შესაძლოა, ავტომობილის საბაზრო ფასი ნაკლები ყოფილიყო, თუმცა შესყიდვის შემდეგ მანქანებს ექნება ტექნიკური პრობლემები, ჩვენ გათვლილი გვაქვს იმაზე, რომ მანქანა გამოიყენება ხანგრძლივი ვადით.

რაც შეეხება თანხას, თუ რამდენი გამოიყო ბიუჯეტიდან, მე ინფორმაცია არ მაქვს”, – აი ასე, კაცი რომელსაც 2012

წელს აღაშფოთებდა „ლაფანურის“ სპეცოპერაციის რიგი დარღვევების, დღეს რადიკალურად შეცვლილს მხოლოდ ისეთი „დაცვის“ ინტერესები აქვს, რომელიც ქართველი ხალხის დიდ უმრავლესობას აღაშფოთებს და „შოკში“ ავადებს.

სავარაუდოდ, „სახალხო დამცველი“ სოციალურ ქსელში მის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს და ახლო ნათესავების ხშირ „მოკითხვას“ პერიოდულად მაინც ეცნობა, მაგრამ არ იმჩნევს.

მისთვის მთავარია „მაჯალაჯუნების“ დაევალება პირნათლად შესარულო და „იუ“ მფარველების აღვირახსნილი საქციელი გადაფაროს თუნდაც უფლებების დაცვის ეგიდით ისე, რომ მთავრობის წევრის მოვალეობები არც ახსენოს.

**მეთევან ზარნაძე, „საერთო ბაზარი“**

# სიმაართლე ღვთაებრივი ცეცხლის შესახებ



ადღგომის წინაღვე დიდი შაბათია – უკანასკნელი და უძიმესი დღე ქრისტეს აღდგომამდე. ჯერ კიდევ იხმის ბრბოს ყიყინისა და უსასტიკესი განაჩენის სიტყვების ექო... ჯერ კიდევ მიმედ ხედება გულს მაცხოვრის სხეულზე შოლტისა და ჩაქუნის დარტყმის ხმები... ჯერ კიდევ გტკივა ქრისტესა და ღვთისმშობლის ტკივილიანი ცრემლები... ჯერ ისევ დიდი შაბათია – სისხლიანი პარასკეის მომღვერო, გოდებითა და სირცხვილით სავსე უდიდესი გარინდების დღე სისასტიკის იმ საოცარი ნიშნის წინაშე, რომელსაც მაცხოვრის ჯვარცმა ჰქვია. ამიტომაც დუმხარ მთელ სამყაროსთან ერთად – გტკივა და გრცხვენია და... დუმხარ...

დიდი შაბათია. და ამ სირცხვილიანი გარინდების ჟამს, როცა ტკივილის დატყვა შეუძლებელი ხდება, როცა სინანულისაგან გული ჩერდება, სიყვარულისა და მიტევების ნიშნად უდიდეს ნუგეშს გვიღვენს ადამიანებს უფალი – აღდგომამდე დარჩენილი რამდენიმე საათის სიმძიმეს სწორედ ზეციური ცეცხლით გვიშუბუქებს.

მოციქულებისა და წმინდა მამების ცნობით, უნივერსალური ცეცხლია ჯერ კიდევ აღდგომისას გააბრწყინა ქრისტეს საფლავი. ამ ნათელმა დააბრმავა ის რომელიც ჯარისკაცები, ებრაელი მღვდელმთავრების რჩევით რომ დაუყენა პილატემ აკლამას. გადმოცემის თანახმად, მაცხოვრის საფლავზე აშენებულ ტაძარში ღვთაებრივი ცეცხლი პირველად მესამე საუკუნეში

გადმოვიდა: საადგომო ლიტანიობაზე კანდელებში ზეთი შემოაკლდათ. პატრიარქ ნარცისის კურთხევით, ისინი სიღონის ემბაზის წყლით დაავსეს. ამის შემდეგ კი ზეციდან გადმოსულმა ცეცხლმა აანთო ყველა კანდელი და ასე ენთო ლიტანიობის დასასრულამდე.

მას შემდეგ ეს სასწაული ყოველწლიურად მეორდებოდა და მეორდება დღესაც. მაგრამ მავანი ან უარყოფენ მას, ან კიდევ, მხოლოდ სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებენ: არც სახარება და არც მსოფლიო კრების არც ერთი დადგენილება არ მოწმობს ამგვარი სასწაულის შესახებო. არადა, თუნდაც მხოლოდ სადმერთ გადმოცემაც ძალიან მნიშვნელოვანია მართლმადიდებელთათვის: თვით მოციქულები ეპისტოლეებში ყველაფერს არ წერდნენ და აცხადებდნენ სურვილს მოწაფეებთან ზეპირ საუბრისას. მაგ. იოანე მკაცრბერი სწერს ეპისტოლეში: **“მრავალი მინდა მივწერო თქვენდა, არამედ არა ვინებე ქართითა და ნორმითა, რამეთუ ვესაგ მოსვლად თქვენდა და პირისპირ სიტყვად”**. სწორედ ასე გადმოცემით მოვიდა უამრავი რამ ჩვენამდე.

მავანი იმასაც აცხადებენ, არანაირი მატერიალური საბუთი არ არსებობს იმისა, რომ ეს სასწაულია – ეს მხოლოდ ტრადიციული რიტუალის აღსრულებაა და სიმბოლური გამოხატულება იმ ნათლისა, რომელიც ქრისტემ სოფლად მოიტანათ. ჯერ, ერთი, მხოლოდ სიმბოლურისა და სულიერის დანახვა სახარებასა და ქრისტიანობაში თავისთავად ქრისტეს ღვაწლის დაკნინებაა. მარტო სულიერი მხარე რომ ყოფილიყო მთავარი, არც უფლის განკაცება გახდებოდა საჭირო და არც ჯვარცმა. ეს მონოფიზიტთა სწავლების მსგავსია – განკაცებულ ქრისტეში მხოლოდ ღმერთის ბუნებას რომ ხედავენ და კაცისა უარყოფენ. გამოდის, არც შიოდა, არც ტკიოდა, არც სწყუროდა და არც ჯვარცმისას განუცდია ტკივილი მთელი სისრულით.

გამოდის, მთელი მისი 33 წელი ცხოვრებისა არ ყოფილა... არც მსხვერპლშეწირვა ყოფილა, არც ჯვარცმა და არც გარდაცემისა.

მაგრამ ჩვენ ხომ ზეციურ ცეცხლზე ვსაუბრობდით. მატერიალურ საბუთს ითხოვენ ამ სასწაულის მოწინააღმდეგენი. და ამ საბუთად მაცხოვრის საფლავზე აღმართული ტაძრის ერთ-ერთი სვეტიც გამოდგება: ეს სვეტი სწორედ ამ ცეცხლმა გააპო შუაზე: როგორც იცით, ცეცხლის გადმოსასვლელად სამი პიროვლიან პირველი სწორედ ისაა, რომ კუვეკლიაში მართლმადიდებელი პატრიარქი უნდა შევიდეს. ჰოდა, ერთხელ მონოფიზიტებმა მოისყიდეს თურქები, რომელთა ხელშიც იყო ტაძრის გასაღები, გამოაძევეს იერუსალიმის პატრიარქი და თავიანთი მწვემსმთავარი შეუშვეს შიგ. მართლმადიდებელი მღვდელმთავარი აცრემლებული დაღვა ერთ-ერთი სვეტის უკან – ფიქრობდა, რომ თავისი ცოდვების გამო ვერ გახდა ღირსი კუვეკლიაში ყოფნისა. უცბად, დაიქუხა, მარმარილოს სვეტი შუაზე გაიპო და იქიდან გადმოსულმა ცეცხლმა იერუსალიმის პატრიარქის ხელში აანთო სანთლები. ეს 1549 წელს მოხდა. მას შემდეგ ეს სვეტი მართლმადიდებლობის უტყვე მოწმედია ტაძრის შესასვლელში აღმართული.

იერუსალიმის პატრიარქთა მოწმობით, ცეცხლის გარდამოსვლის წინ მაცხოვრის საფლავის ფილა **“საუცხოო ფერებად მოვლავარე მძივის მარცვლებით მიმობნეული მარგალიტებით იფარება. ბამბით შეგროვებისას ეს მარგალიტები ზეთის წვეთებით ეგვრან ერთმანეთს, ხოლო ბამბა, რომლითაც ამ წვეთებს აგრეთვებენ, სითბოს გამოსცემს”**. როგორც კი ამ ბამბას სანთელს მიუახლოვებენ, პატრუქს ცეცხლი ეკიდება და სანთელი ინთება. მაშინვე თავისით ინთება მაცხოვრის საფლავის ყველა კანდელიც. მთლიანად ტაძრის სივრცე კი ცეცხლის გარდამოსვლის წინ მოციფრო ეღვით ნათდება. თავად ცეცხლი თბილია და არა

ცხელი, და დაახლოებით 10-15 წუთის განმავლობაში არც წვაება.

ცეცხლის გარდამოსვლისათვის აუცილებელია კიდევ ორი პირობა: ტაძარში უნდა იყენენ საბაწმინდელი ბერები და მართლმადიდებელი არაბები. საბაწმინდელი ბერების სიღრმისეული ლოცვის წყალობით იქ მყოფთა გულეშიც უნდა აენთოს **“გონიერი”** ღვთაებრივი ცეცხლი.

ხოლო მართლმადიდებელი არაბების როკისა და ყიყინის გარეშე წარმოუდგენელია ცეცხლის გარდამოსვლა: ისინი სწორედ ისე როკავენ, როგორც ებრაელები როკავდნენ იერიქონის დაცემისას ან დავით მეფესალმუნე – აღოქმის კილობანთან. ეს ძველადოქმისეული ლოცვა-ღადადისი სწორედ ამ არაბებსა აქვთ შემონახული. სხვათა შორის, ერთხელ ეს არაბები გაცარეს კიდევ ტაძრიდან, მაგრამ 6-საათიანი უშედეგო ლოდინის შემდეგ კვლავ შეუშვეს ტაძარში და, ცეცხლი მაშინდა გადმოვიდა. ეს არაბები ფოტიენს შთამომავლები არიან – იმ სამართლები დედაკაცისა, რომლის შესახებაც სახარებაც მოგვითხრობს და რომლის ქალაქში თავად ქრისტემ იქადაგა ჭეშმარიტება.

უფალი ამბობს: ყურები აქვთ და არ ესმით. თვალები აქვთ და ვერ ხედავენ. ქრისტეს მიერ ჩადენილ უამრავ სასწაულს ხედავდნენ, მაგრამ მანც დასცინეს, უარყვეს და ჯვარს აცვეს. მაღლს მოკლებული ადამიანის ბუნება ახლაც იგივეა, არც ოცდაერთი საუკუნის წინათ: თუკი არ გინდა, დაინახო და აღიარო, არც დაინახავ და აღიარებ. საკუთარი ამპარტყვნებით დაბრმავებული როცა ვერ ხედავ მხეს, ეს არ ნიშნავს, რომ ის არ ამოდის და არ ანათებს. საცოდავი ის კი არაა, ვისაც მხის ამოსვლისა სწამს და უხარია, არამედ ის, ვინც მისი ნათლისა და სითბოს გარეშე რჩება.

გილოცავთ დამდეგ უბრწყინვალეს დღესასწაულს, ქრისტეანენო!

## ბიბი დელაგაზიშვილის ემოციური სიტყვა და რუსი მსმენელის ვუთიერი ღვილი 9 აპრილს

(ხომ გეუბნებით – სიყვარულით ბევრად უფრო მეტის გაკეთება შეიძლება, ვიდრე სიძულვილით!)

პეტერბურგის კლუბი “A2 Green Concert-ში” ჯგუფი “მგზავრების” კონცერტი გაიმართა. კონცერტის დაანონსებას ქართულ საზოგადოებაში კრიტიკა მოჰყვა. 2016 წლის 9 აპრილს 27 წელი შენარულდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი დემონსტრაცია დაარბია. დაიღუპა 21 ადამიანი, ასობით კი დაიჭრა, მოიწამლა და დასახინდა. სწორედ ამის გათვალისწინებით, ქართულ სოციალურ ქსელში “მგზავრების” კონცერტს უარყოფითი კომენტარები მოჰყვა, რომლის ძირითადი პროვოკატორები ავადსახსენებელი ნაცმოძრაობის მხარდამტყვები იყვნენ.

“37 მანეთიანი მგზავრები”; “აბა თქვენ იცით, 9 აპრილს გრმობით უხაველთ მაგათ. მერე რა რომ 27 წლის წინ თქვენზე პატარა გოგონები ჩახოცეს რუსთაველზე, საქართველოზე მღეროდნენ და თქვენზე გაცილებით კარგად. მერე რა, რომ ეგ ქვეყანა დღესაც ისეთივე დამპყრობელია, როგორც მაშინ, 27 წლის წინ იყო. გრძელბო ტურნე გაქვთ მანდ და საადღომოდ როდიონოვის საფლაგზეც გადით ბარემ და გადაუგორეთ წითელი კვერცხები”; “მერე დასხდებიან სუფრაზე და სამშობლოს სადღეგრძელოზე გულზე მავილს დაიბრაუნებენ, იტყვიან რომ ყველაზე მაგარი ქვეყანა საქართველოა და რაც მაგრები ვართ ჩვენ ვართ. მაგრები კი არა, ჯერ “ერისონი” და “რუსთავი” უნდა გაგვეტარებინა კაი სირცხვილის კორიდორში რომ სხვა “კულტურის მოღვაწეს” არ დაეწყო “იციო რააა, კულტურა და პოლიტიკა სხვადასხვა რამეა”. არაა სხვადასხვა, როცა იმ ქვეყანაში ჩადიხარ და ტანცი მანცობ, ვინც ეს 9 აპრილი მოგიწყო და ყოველ დღე თითო ვაშლის ხემდე გიწვევს საზღვარს” – ყიამერალობდნენ სოცქსელში დაწვია, ეთნიკურად აშკარად არაქართველი “ნაციონალებს” მიერ ამოქოქილი ინტერნეტმომხმარებლები.

“საზოგადოებრივი ინიციატივა მაქვს, რომ ტალახის სროლის ფესტივალი

მოაწყოს სახელმწიფომ, ამაზე დიდ სიამოვნებას ბრბო მანც ვერაფრისგან იღებს. წარმატებულ დღეს გესურვებთ!”, – გამოაქვეყნა პოსტი ჯგუფი “მგზავრების” ხელმძღვანელის დამ – ნინი დედალა-მაზიშვილმა, – “პატრიოტებო”, პირველ რიგში ყველას აქვს აზრის გამოხატვის უფლება, პოზიციის დაფიქსირების, დემოკრატიული ქვეყანაში ვცხოვრობთ, ადამიანებს აქვთ უფლება მოწონდეთ ან არ მოწონდეთ ჯგუფი “მგზავრების” მუსიკა, გუშინ მთელი დღის განმავლობაში მომდიოდა წერილები, მიტყავდნენ ჟურნალისტები და მინდა, რომ ყველას გაცნეთ პასუხისმგებლობა ყველას, ვისაც ვუვარვართ, მაგრამ მოვიწოდებთ, რომ გინებით და ღანძლივით ნუ პასუხობთ სიძულვილის და “დედის გინების” ენაზე მოსაუბრე ან-გაუთრებულ ადამიანს. ჯგუფი “მგზავრები” წლებია უკრაინაში არიან, დასახელდნენ წლის საუკეთესო ჯგუფად, წლების მანძილზე სრული ანშლავით მართავენ კონცერტებს, მათი საკონცერტო ტურნე 1 წლით ადრე არის გაწერილი. ამაზე აქცენტი არ ეკეთდება და ესეთი გამომხმარებაც არ მახსოვს “მგზავრების” წარმატებაზე, ესეც გასაგებია, აქ ბედნიერებას და წარმატებას ვერ ვპატიობენ. მიხარია, რომ ლოკალურ სივრცეში არ დარჩნენ და წარმატებას სხვადასხვა ქვეყანაში მიადწიეს, განვითარდნენ, რაც ყველაზე დიდი მინაპოვარია.

რაც შეეხება აპრილში დაგეგმილ კონცერტს, რომელიც პეტერბურგში გაიმართება, ადვილია ოთახში შეეკტილმა სოციალურ ქსელში პუტინის აგინო, როდესაც იცი, რომ ამის გამო ფიზიკურად ვერავინ შეეხება...

შარშან რუსეთში გადაღებაზე ყოფნისას გულის შეტევის შედეგად გარდაცვლილი მსახიობის კოტე თოლორდავას მეუღლე რეჟისორი განო მელითაური აღნიშნულ მოვლენებს შემდეგი სიტყვებით გამოეხმაურა: “კულტურას ეროვნება არ გააჩნია! ძალიან უფლი მწვედება, რომ შემოქმედ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ წარმატებას მიღწიონ საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, პოლიტიკურ იარაღებს აკრავენ! პირიქით, ხელი ჩაკიდო საკუთარ

ქვეყანას და ოკუპაციის ქვეყანაში საკუთარი ბეგრი, სიტყვით და სათქმელით დაიცვა, მის ტერიტორიაზე ააუღარო ქართული, ყველასთვის საყვარელი მელოდიები და სმა მიაწვდინო იქ მყოფ ადამიანებს, მხოლოდ მისაბაძი და დასაფსუხებელია!

ჯგუფი “მგზავრების” თითოეული წევრი არის საკუთარ ქვეყანაზე შეყვარებული, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, ნიჭიერი ადამიანი. ეს ჯგუფი ჩემი და კოტეს თანდასწრებით ჩამოყალიბდა და მიხარია, რომ მათი პირველი კლიპის ავტორი ვარ და მქონდა ბედნიერება ამ უნიჭიერეს მუსიკოსებთან თანამშრომლობის! აღარაფერს ვამბობ იმ უნარზე, რასაც მეგობრობა და თანადგომა ქვია! გიგი, ლაშა, ბიჭებო, ყველანი ძალიან მიყვარხართ! ყველაფერი კარგად იქნება!

ერთ რამეს ვიტყვი! არავინ არავის უშლის პროტესტის გამოხატვას, არც არავინ აწყებს კანონებს. თუ ვინმეს რამის თქმა ან გაკეთება სურს, არავინ უშლის და ჩვენი სენია სახლში ჯდომა, ენის ფხანა ვირტუალურ გამოგონილ რეალობაში ცხოვრება და გამუდმებით სხვების განსჯა, “მგზავრების” კი არა ჩემი შვილების განსჯის უფლებას არ ვაძლევ ხშირად ჩემს თავს, რადგან ამის უფლება მხოლოდ უზენაესს აქვს, მე ასე გამზარდეს! ამიტომ თავისუფალი ყველა არჩევანში, უბრალოდ ანალიზი მანც ხომ უნდა შეგეძლოს რადაცეების. არ შეიძლება პირდაპირ დასკვნების კოპირება ისე, რომ არ ვიცოდეთ რა დგას სხვადასხვა მოვლენების უკან”, – წერდა განო მელითაური.

ახლახანს კი ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ვიდეო, რომელზეც ასახულია მომენტი “მგზავრების” კონცერტიდან, როცა ჯგუფის სოლისტმა 9 აპრილს დედუქლების ხსოვნისათვის რუს მემენელს ვუთიერი დუმილით პატივის მიგება სთხოვა. გიგი დედალა-მაზიშვილმა რუსულ ენაზე ამ სიტყვებით მიმართა მემენელს: “ჩვენთვის ეს თარიღი ძალიან ბევრს ნიშნავს. თქვენ ალბათ არ იცით, მაგრამ... ძალიან ვნერვიულობ, მაპატიეთ. საქართველოს ისტორიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი, დიდი დღეა. 1989 წელს აპრილის დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებლო-

ბისთვის გამოსვლები დაიწყო და მთელი ჩემი ოჯახი მაშინ იქ იყო. ჩემი და ამ ბიჭების ოჯახები. 8 აპრილი, საღამოს ხალხს უთხრეს, რომ მოვიდოდა არმია და მათ დაშლიდნენ. ხალხი არ წავიდა, დარჩა... ბევრი ადამიანი დაიღუპა მაშინ. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეისთვის, რომელიც ჩვენ რამდენიმე წელიწადში მართლაც მოვიპოვეთ. დღეს ეს დღეა, 27 წელი გავიდა. მე დღეს 30 წლის ვარ, მაშინ სულ 3 წლის ვიყავი. მეგობრებო, გთხოვთ ვუთიერი დუმილით მივაგოთ პატივი იმ ადამიანების სსოვნას, გაუფრთხილდნენ სიყვარული თბილისის, საქართველოს” – ამ სიტყვებზე ფეხზე წამომდგარი მთელი დარბაზი წუთით განუმდა, მაყურებლებში საქართველოს დროშაც ფრიალებდა.

საქართველოში ოპერატიულად გამოეხმაურენ ამ უადრესად სასიამოვნო მოვლენას.

“კარგი ბიჭები ხართ... უკან მიგვაქვს ჩვენი სიტყვები” – უტიფარი ნაცებისათვის ჩვეული დაუსაბუთებელი კრიტიკის შემდეგ კი ამავე ნაცების მიერ ანგაფორებული ყველაზე ყბაამოვადებული ინტერნეტმომხმარებლებიც კი “მგზავრებს” აქებდნენ: “მგზავრები! კარგი ბიჭები ხართ და უდიდესი სიამოვნებით უკან მიგვაქვს ჩვენი სიტყვები. მაღალო ღმერთებო, თქვენ შეეწიეთ საქართველოს ყველა პატრიოტს!”, “მიხარია რომ გაბედეს და თქვენს”. “ეს წუთი ღირდა ყველაფრად!”, “ბრავო “მგზავრები!”. “გამოდით ახლა და კიდევ აქილიკეთ არამზადებო, ეს პატრიოტი ბიჭები!” – წერდნენ ფეისბუქზე “მგზავრების” საქციელით” აღფრთოვანებული პატრიოტი ინტერნეტმომხმარებლები.

რუსეთში ქართული კულტურისადმი მზარდ ინტერესზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ “მგზავრების” ტურნე მთელი წლით ადრე იყო გაწერილი, ბილეთები კი წინასწარ გაიყიდა. კიდევ ერთხელ დადასტურდა ძველი ქართული სიბრძნე, რომ “გველსა ხერვლით გამოიყვანს, ენა ტკიბილად მოუბარია...” და სიყვარულით ბევრად უფრო მეტის გაკეთება შეიძლება, ვიდრე სიძულვილით!





9 აპრილს, ქუთაისში ჩასულებს გვე-სირცხვილა გვეკითხა – სად არის ის მე-მორიალი, რომელიც საქართველოს თავისუფლებას შეწირულ მამულიშვილებს აუბებს უდანაშაულოდ დახვრეტილი მშობლების შეილება და არა სახელმწიფომ, რომელიც ე.წ. „ვერო-ამერიკული დემოკრატიის“ ჩვენს სამშობლოში დასამკვიდრებლად იბრძვის?!

ასე მოვიარეთ, ქუთაისის შემოსავლი გზის მარცხენა მხარე, რიონის გაპარტახებული დასახლებით და დაშრობამდე დასული ტბის ხავსოდებული სარკით, რომელიც, ოდესღაც, საქართველოს სიდილით მეორე ქალაქის მოსახლეობის – შაბათ-კვირის სულმისასწრებ ადგილს წარმოადგენდა, დღეს რომ დაშრობამდე არაფერი აკლია!

9 აპრილს დაგვემიღო, ფრიად საინტერესო ღონისძიების მოლოდინის ფონზე, ჩემთვის საინტერესოსთან ერთად, რიონის დასახლებაში მოხვედრა და დაშრობამდე დასული საკმაოდ დიდი ტბის დასრულებული სანაპიროს ხილვა სასიამოვნო ნამდვილად არ იყო. მაგრამ, ვიდრე მორიგ შემხვედრს ვკითხვართ სად ვართ და რა პქვია ამ ადგილსო, ე.წ. „ბელეგაუხე“ აშენებულ სახლს მივადევით და გამარჯობასთან ერთად კიბის საფეხურზე ასულ ასაკოვან ქალბატონს ვკითხვით:

– ხომ ვერ მიგვასწავლით, გასული საუკუნის 30-იან წლებში რეპრესირებულთა მემორიალს, გზა აგებნა და ვერ მივაგვინოთ!

სანამ პასუხს გაგვეცემა, იქვე, სახლის ვერანდაზე მდგომი ახალგაზრდა კაცი გაბოგვევება და სადამთან ერთად ბოლიში მოგვიხალა – უკაცრავად, რომ შინაურულად ვარ ჩატყული. თქვენზე შეიკრებამ მიბძვა ჩამოვსულიყავი და ორი სიტყვით მეტყვა თქვენთვის – აქ, ამ ულამაზესი ბუნების წიაღში იშვიათად თუ გაახსენდება ვინმეს, ოთხმოცი წლის წინ უდანაშაულო ადამიანები რომ მოჰყავდათ და უმეტეს წილად უგანაჩენოდ ხვრეტდნენ, ოჯახები კი ათწლეულების მანძილზე ელოდნენ მათ...

ერთხელ, ბატონ რეზოსთან მორიგი სტუმრობისას საუბარში მეორე მსოფლიო ომისა და 1937 წლის რეპრესიების თემებამდე მიგვიყვანა. ცნობილია, ბატონი რეზო საოცარი ტკბილმოსაუბრე იყო. რა თქმაზეც უნდა ესაუბრა, ყურადღებას ვერ მოწვევდით მას. ალბათ, ამის გამო მისი მონაყოლი სიტყვა-სიტყვით ამასსოვრდებოდა მსმენელს. ასე იყო იმ სადამოსაც, როცა ფილმის „იოსებ სტალინი“ სცენარის გარჩევისას 1937 წლის რეპრესიების თემას მივადევით. ზემოთწვენი კარგად ვიცოდით, ბატონ რეზოს ოჯახის წევრების ტრაგიკული ხვედრის შესახებ, რაც, მათ, იმ წლებში მოუტანა, თავს ვარიდებდით ამ თემაზე საუბარს. ბატონ რეზოს ეს არ გამორჩენია და რასან ჩვენი სასაუბრო თემა მეტი წილი „იოსებ სტალინის“ ფილმის სცენარის გარშემო ტრიალებდა (წლების განმავლობაში, გერმანიაში ვაგროვებდი მასალას სტალინის შესახებ, ვთარგმნიდი და ჩამოქონდა ბატონ რეზოსთან). ბუნებრივია 1937 წლის მოვლენებს გვერდს ვერ ავუვლიდით. ზეპირსიტყვიანი უხერხულმა რომ მოეხსნა, ალბათ ამიტომ გავგონებმა მასთან მყოფი ყველა მოსაუბრე, გვთხოვა ყურადღებით მოგვესმინა მისთვის და ასე წამოიწყო:

– ვატყობ, გერიდებთ ამ თემაზე საუბარი. მე კარგად მესმის თქვენი. იმ წყველი წლების შემდეგ სამი მეოთხედი საუკუნე გავიდა. უამრავჯერ გადაფასდა მას შემდეგ ისტორია. საქმე იქამდე მივიდა – მაშინდელი დამნაშავეები ზოგჯერ გმირებად შეიძლება წარმოგვიჩინონ, ნამდვილი გმირები კი მაშინაც უარყოფილი იყვნენ. სამწუხაროდ, არც დღეს მწყლობებს მათ დიდ ნაწილს უამთასვლა. ათწლეულების განმავლობაში მეც გაორებული ვიყავი. 12 წლის ასაკში მამამედი ჩემს თვალწინ დააპატიმრეს, მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ შევაგლე თვალი მას, ციხიდან გამოსული სატყუროთ მანქანის გვერდზე გაწეული „ბრეზენტი“-დან რომ გამოგვხვდა მე და დედაჩემს და ხელების ქვეითი სამუდამოდ დაგვემშვიდობა! სხვა დროსა სასაუბრო ეს ამბავი. ახლა კი სტალინის გარდაცვალებას გაიხსენებ. მაშინ, მოსკოვის კინემატოგრაფისტთა ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი. არაფერს ვამბობ, რა ამბავი მოჰყვა სტალინის სიკვდილს, მოელი ქვეყანა რომ გლოვამ მოიცვა, ყველასათვის ცნობილია. სტალინის გარდაცვალებას ისეთი ავღარი დაერთო, რამდენიმე დღე თვითმგონივრების მიმოსვლა შეწყდა მოსკოვსა და თბილისს შორის. ამის გამო, ახალგაზრდული დელეგაციის ჩამოსვლა ვერ მოხერხდა საქართველოდან და სასწრაფოდ გამოვამახეს მოსკოვში მოსწავლე წარჩინებული ქართველი სტუდენტები. სპეციალური უნი-

ფორმით შეგემოსეს და კრემლის სამკლოვიარო დარბაზში, სსრკ-ს სხვა რესპუბლიკების ახალგაზრდებთან ერთად საპატიო ყარაულში დგომა გვიბრძანეს. წარმოიდგინეთ, რას ნიშნავდა ჩემთვის ეს შემთხვევა:

მამამედი ხომ, ყველას და, მათ შორის, ჩემი წარმოდგენით, სტალინის და ბერიას ბრანებით იქნა დახვრეტილი?!

ბიჭებს ვთხოვე, გარდაცვლილი სტალინის თვითან დაეთმოთ ჩემთვის ადგილი, რომ კარგად დამეჩანა მისი სახე და მეგრძნო ვინ იყო ის ადამიანი, ვისაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლესთან გამოსალმებას აბრალებდნენ, მათ შორის მამამეძისას!

იმ დღეებში, ათასობით ადამიანმა გაიარა ჩემს თვალწინ. მსოფლიოს თითქმის ყველა გამოჩენილი ადამიანი ვნახე. ლაერტი ბერია დღეში რამდენჯერმე შემოდისო სამგლოვიარო დარბაზში. თავიდან, ფიქრებსაც ვერ ვუყრიდი თავს, მაგრამ თანდათანობით ყველაფერი დალაგდა, მსოფლიოს ცნობილი ადამიანები, პოლიტიკოსების სახეებს სწრაფად და თითქმის შეუცდომლად ვარჩევდი. მეორე დღეს, როცა ისევ მომიწია ჩემთვის განკუთვნილ ადგილზე ორი საათი დგომა, ფარულად, სტალინის თავისკენ გავაპარე მხერვა, რომ სახეში ჩამეხვდა მამამეძის მკვლელისთვის. სწორედ ამ დროს დიდი ბრიტანეთის დელეგაცია შემოვიდა დარბაზში. მათ, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც მოჰყვნენ, მგლოვიარო საბჭოთა პარტიულ ამხანაგთა გრძელ რიგს თავში ლაერტი ბერია ედგა წითელი, შავარშია შემოვლებული სამკლაურით... ამის დანახვაზე, თითქოს სახეში გამილაწუნესო – ელდა მეცა, გონებაც სხვანაირად გამიხატა, ფიქრებმა ბავშვობაში გადამისროლეს, ჩემი ბავშვო-

### ომით მუვიღობა არ მოიპოვება!

ბის უმძიმესი დამე დამიდგა თვალწინ, უჩვეულო ხმაურმა რომ გამოგვაღვიძა ბავშვები და მამამედი რომ წაიყვანეს შავლაბადიანმა, მაშინვე რიანმა ჩემს ტვინში. იმწამს გაეღვივებულ ჩემი ფიქრი ხმამაღლა ჩამესმა:

– ნუთუ, ამ ორ ბუმბერაზს, ცოტა ხნის წინ მსოფლიო რომ დააჩოქეს, იმისთვის ეცალოთ, ქუთაისში, საფიხიაში დავით ჩხეიძის საქმე მოეძიათ, იგი უცხო ქვეყნის ჯანმრთელ ექნოთ, დაემტკიცებინათ მისთვის ბრალდება და მისი დახვრეტი ებრძანებინათ?!

შემძრა ამაზე ფიქრმა, არც სტუდენტობისას და არც ჩემი სარეჟისორო საქმიანობისას იგი არ მომშორებია!

ეს თქვა და სადღაც შორს, მხერვაგასროლილი გაჩუბდა. ვერ ვიტყვი რამდენ ხანს იყო ასე. ხმაგაკმენდილი ვისხედით, სანამ თვითონ არ დაარღვია მძიმე ფიქრნარევი სისუფე:

– 50 წელი მოვანდომე, ვიდრე ყველა არქივს, მნიშვნელოვან მასალას გადავამოწმებდი, შევისწავლიდი და საბოლოოდ დავრწმუნდებოდი, რომ – არც სტალინს, არც ბერიას არაფერი ჰქონდათ საერთო მამამეძის დაპატიმრებასა და დახვრეტასთან. სამწუხაროდ, იგი მისმა უახლოესმა სამეგობრომ ჩაიღინა, ვისაც თვალში არ მისწოდოდა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, თეატრალური საზოგადოების თავჯდომარის, იმდროინდელი ქუთაისის ყველა ღირსეული სტუმრის უცვლელი მასპინძლის აქტიურობა!

...მასსოვს, მამა რომ წაიყვანეს სახლიდან, საფულედან უგანასკელი დანაზოგი – 25 მანეთი ამოიღო და დედაჩემს დაუტოვა!

ხუთი წლის წინ შედგა ეს საუბარი ბატონ რეზოს სახლში, ლარსის ქუჩაზე. ხუთი წელიწადია არ მშორდება თავიდან ფიქრი:

– რამხელაზე უნდა ამაღლდე ადამიანი, რომ ადამიანურ სისუსტეს სილოთ და ამ დასკვნამდე მიხვიდე, როცა მარტივი გზა არსებობს – ყველაფერი დააბრალე იმას, ვინაც დიდი ხანია ცოცხალი აღარ არის! მხოლოდ ბატონ რეზო ჩხეიძეს შეეძლო საკუთარ თავზე ამაღლება და უსამართლოდ დამკვიდრებული სტერეოტიპების მხსნევა!

სხვა რომ არაფერი, ჩვენ ხომ რამდენიმე წლის წინ გამოვიარეთ – ადამიანის არსებობის და ღირსების დაკინების ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი!

ერთხელაც, როცა „ჯარისკაცის მამას“ და „ღიმილის ბიჭებს“ ვისხენებდით, კამათის ექსტაზში შესულნი გაგვანერა ბატონმა რეზომ და მიხეული, დარდნარევი ღიმილით ჩაილაპარაკა:

– ომით მუვიღობა არ მოიპოვება! – მუვიღობას ომში დაცემულთა ჭირისუფლები ამყარებენ, როცა ომის

მსხვერპლთა საფლავებს საკუთრად და სხვისად არ ყოფენ!  
– იმედი მაქვს საამისოდ საკმაოდ დაბრძენდა ჩვენი სამყარო!

### ფერადი „სააღდგომო კვირცხების“ ერთი საიდუმლო ისტორია!

ბავშვობიდან მოყოლებული, ყველაზე სათნო და გულშიამწვდომად „ადღგომის დღესასწაული“ შემომძრია!

მასხენდება, მაშინ, 100 წელს მიტანებული ივლიტა ბებია, ახალი წლის (14-15 იანვარი) ზეიმის შემდეგ, წინასწარ შეჩვენებული, ჩვენი ოჯახის წევრს, – „მაქუნხურს“ (მეკვლეს) თავისთან მოიხმობდა (მანამდე, ამას დათა ბაბუა აკეთებდა თურმე, ვიდრე 1943 წელს, გაგანია, მეორე მსოფლიო ომის დღეებში გარდაიცვალა, მის მარან-ბუღლებს დადარაჯებული კონფისკაციის სამსახური დაცლიდა და ფრინტზე გასაგზავნი სურსათ-სანოვაგე, კოლმეურნეობის საერთო საკუთრება გახდებოდა!), საგანგებო უფლებით შემოსავლა და დაავადება, – სანამ ადღგომა დადგებოდა, საგულდაგულად შეესწავლა ქობალიების (დათა, მათე და კოსტა) მიწებზე, დასახლებული ოჯახების მდგომარეობა, თუკი, რომელიმე მათგანს უჭირდა უნდა გამოეკვლია, რატომ მოხდა ასე, ხომ არ ზარმაცობდნენ, უღირს ცხოვრების წესს ხომ არ ეწოდნენ და ეს „საგანგებო კომისია“ თუ მოიტანდა დასკვნას, რომ, ისინი პატიოსან ცხოვრების წესს მისდევდნენ და დახმარება და თანადგომა სჭირდებოდათ, მაშინ, ქობალიების მიერ, სანუქრად გაცემულ მიწებზე დასახლებული ოჯახებისგან დაწესებული, სიმბოლური, საშობო და საადღგომო სანუქრად იმით უნდა გადაეცემოდა, ვისაც იმ წელს განსაკუთრებულად უჭირდა!

1943 წლის თებერვალში, ჩვენი ბაბუის, – დათა ქობალიას გარდაცვალების შემდეგ, მის კუთვნილ მიწებზე, არავის არაფერი მოუწევია, რადგან იგი, – „საერთო, საკოლმეურნეო საკუთრება გახდა“!

იმჟამად, მამამედი შოთა, ბიძები, – ნაპო და რაჟდენ ქობალიები, მამიდამეძის მეუღლე გრიგოლ ესართია და დედაჩემის ძმა აბესალომ წოწონავა (იგი უზო-უკვალოდ დაიკარგა) ფრინტზე იბრძოდნენ... დიდი სამამული ომი მოვიგეთ, ვეროპა და დანარჩენი მსოფლიო ფაშისმის მონობისგან ვისხედით, მაგრამ, ჩვენ მაინც არაფერი გვეშეგლა.

დღემდა ინგლისელმა, მწერალმა ჯორჯ ორუელმა, ფანტასტიკურ ნაწარმოებში „ცხოველების ფერმა“, მისთვის ჩვეული ალერგიით მიგვანიშნა, – მართალია ფაშისმი დავამარცხეთ, მაგრამ, ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც კაცობრიობას მოუღიანა... იგი მალევე გაცხადდა აშშ-ს, მოგვიანებით, ევროპის უსახური გაერთიანების და მათ დაპირისპირებული რუსეთის სახით!

...ბოლოს მსოფლიო, სათქმელს გადავუხევე – მამამედი 1947 წლის აგვისტოში დაბრუნდა ფრინტიდან. ახალგაზრდა გაიწვიეს თურმე ომში და ასაკის მიხედვით გვიან მოუწია დემობილიზაციამ. ავსტრიაში, დუნიასპირა ქალაქ მელკში მოხალა მისი ვალე კაცობრიობის წინაშე, ფაშისმის დასამარცხებელ ომში!

აქ დავამთავროთ, იმ ომზე საუბარი, რომელსაც ოც წელიწადზე მეტია საძრახისად იხსენებენ, საქართველოს ორი ყოფილი და მესამე, დღეს მოქმედი ხელისუფლება – როცა, სამივეს ერთად, ომი კი არა, „ხელჩართული ბრძოლა“ კი არ მოუკიათ ჩვენი ქვეყნის და ხალხის სასიკეთოდ!

ადღგომა და მასთან დაკავშირებული ზეიმები, სკოლის პერიოდიდან უფრო გვახსოვს, მე და ჩემს თაობას, როცა ორშაბათ დილას ხელისუფლებს შეგვიმოწმებდნენ და წითლად შედებულ, საადგომო კვირცხნაჭერ ხელის თითებზე სახაზავს გაგვიტკაცუნებდნენ!

აქ, კიდევ ერთხელ დავსვამ წერტილს და გაიხსენებ უნიკალურ შემთხვევას, რომელიც ჩვენი ოჯახის გარდა, არა მგონია თუ სადმე ხდებოდა ადღგომის დღესასწაულზე.

ადღგომა დღეს, ოჯახში გაშლილ სუფრაზე, წითლის გარდა, სხვაფერად შედებოდა თითო-ორთა კვირცხიც გამორეულია. მოგვიანებით მივაქციე მას ყურადღება და, როცა ვიკითხე – საიდან ჩნდებოდნენ ისინი, ბუნდოვანი პასუხის გარდა, სხვა არაფერი მსმენია.

ამ თემას, დიდი ხნის შემდეგ, სრულად შემთხვევით გადავავწყვი.

...1983 წელს, ქართველ ტურისტებთან ერთად, ავსტრიაში მომიწია მოგზაურობამ.

სამოგზაურო მარშრუტში ქალაქი მელკიც აღმოჩნდა, სადაც მამამედი მასწავრობდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როცა მას ჩემი მომავალი მოგზაურობის მარშრუტი გაეცანა, მთხოვა – „თუ საშუალება გექნა, მელკში, დუნაის მარჯვენა ნაპირზე მამათა მონასტერი ნახე, სადაც ნაპოლეონ ბონაპარტის 12 წლის ვაჟი იყო დასაფლავებული. იქ მონასტრის მიდამოებში, ჩვენი ჯარისკაცების საფლავები, იქნება ისიც ნახო, იმედი მაქვს რომ უფლიანო!“

მართლაც, არაფერი დამიტოვებია ფოტოაპარატით გადაღებული, მაშინდელ „ორუხრომის“ სლაიდებზე. საკმოს სასაფლაოსაც მივაკვირე, მაგრამ იმდენი დრო არ მქონდა სათითაოდ შენახა და ქართული გვარ-სახელები ამოგვეითხა. მოგზაურობიდან დაბრუნებულმა მამამეძის ჩაგვიკითხე ზუგდიდში და დიდი ხნის წინანდელი, ნაცნობი ადგილები მოვატარე ვერადი სლაიდებით განათებულ კერანზე. თვალნათლივ ვხედავდი, როგორ ეცვლებოდა სახე ნაცნობი ადგილების ხილვისას... უცებ მომიბრუნდა და ოდნავ სახელაწვილმა შემახსენა, – „თუ გახსოვს, დიდი ხნის წინ რომ იკითხე, საიდან ჩნდებოდა ჩვენს სახლში, საადღგომო სუფრაზე, სხვაფერად შედებოდა კვირცხები?“

– რა თქმა უნდა, მასხოვს-მეთქი, – ვუპასუხე!

ხანმოკლე დუმილის შემდეგ მომიყვა, – „გერმანელ სამხედრო ტყვეთა პირველი ნაკადი ჩვენს მხარეში 1943 წელს ჩამოუყვანიათ. 1944 წელს რუხის ციხეში სამხედრო ტყვეთა ბანაკი ჩაუყვებოდათ. ისინი, საბჭოთა ჯარისკაცებთან ერთად ხიდს აშენებდნენ ენგურზე – „ოცარცეს ხიდს“ რომ ვეძახით დღეს. 1948 წელს დაუმთავრებიათ მისი მშენებლობა!“

იქვე, ციხის გვერდით სასაფლაო იყო, სადაც გარდაცვლილ გერმანელ ტყვეებს ასაფლავებდნენ. ომი რომ დამთავრდა, ორივე მხარეს განჩნდა, სასაფლაოები, – გერმანიასა და ევროპაში ჩვენი ჯარისკაცების, ჩვენთან, მათ შორის რუხის ციხესთან, გერმანულ ტყვეთა სასაფლაო!“

...დანარჩენი კი დედაჩემმა მომიყვა, – „შოთა და კიდევ მისი „ფრინტის“ ორი მეგობარი, მართლმადიდებლურ ადღგომამდე ორი კვირით ადრე, დამე, გერმანულ ტყვეთა სასაფლაოზე მიდოდნენ რუხის ციხესთან, ჩუმად და ასუფთავებდნენ იქაურობას და მათი ჩვეულებისამებრ, ნარფერად შედებულ კვირცხებს მოაბნევდნენ საფლავებზე!“

ასე მარტოვე და წარუვლი გულით იშლებოდა ქვეყნებს შორის, ბოროტების ნაკვალევი, ფაშისმმა რომ დაუტოვა კაცობრიობის ისტორიას!

სამწუხაროდ, დღევანდელი სინამდვილე, ახალი ფაშისმისკენ უბიძგებს კაცობრიობას! როგორც ზემოთ ვახსენე, ახალი საშიშროება, რომელიც ძველის განადგურებისთანავე დაიწყებოდა, თვალნათლივ დაინახა ჯორჯ ორუელმა და გადმოგვცა „ცხოველების ფერმაში“.

მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. არაფერი აუცილებლობა არ არსებობდა ახალი ბოროტების ჩახადენად, როცა, – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ხიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოაგდო, მილიონობით უდანაშაულო ადამიანი გაანადგურა და დამახინჯებული შთამომავლობა დაუტოვა კაცობრიობას! კიდევ ერთხელ გავიმეორებ, – გენიალურმა მოაზროვნემ და წინასწარმეტყველმა, ინგლისელმა მწერალმა ჯორჯ ორუელმა, დაუფარავად გაგვაფრთხილა:

– ეს არაფერია, რაც მოხდა, იმასთან შედარებით, რაც კაცობრიობას მომავალში, ღორების ბატონობის ხანაში მოელო!

ეს დრო კარგა ხანია დადგა, – თვალნათლად და დაინახოთ!

განა, დღევანდელი ევროპის კატასტროფული მდგომარეობა არ არის ამის ნათელი მაგალითი?

განა, დიდი ფიქრი და ტვინის ჭკვეუტა სჭირდება ევროპას შესუული უსახლკართო მიზეხის დადგენას, თუ რატომ და ვის გამო მოხდა მილიონობით ადამიანის საკუთარი სახლ-კარიდან აყრა და „ცივილიზებულ ევროპას“ შემოსევა?

თვალი გავახილოთ და ჩვენი დასანახი ჩვენვე დაინახოთ და ვამხილოთ ისინი ჯორჯ ორუელმა რომ გაგვაფრთხილა „მოვლენი“ და ისინი მართლა მოვიდნენ!!!

ჩვენი უფადის, იესო ქრისტეს ადღგომის მადლმა დაიფაროს და გაუღვიძოს გონიერება, ყველა იმათ, ვისაც ეს დიდი დღესასწაული, მისი სულის და ხორცის განწმენდის, კაცობრიობის გადარჩენის დღედ მიანიია!

უფალი გვწყალობდეს!  
დავით ქობალია

# რა უნდა იცოდეს მორწმუნე აღამიანმა მნების უზიდელის შესახებ



ვინების კვირა დიდი მარხვის ბოლო, აღდგომისწინა კვირის პირველი. ეს კვირა (უფრო სწორად, 6 დღე) იესო ქრისტეს ვინების, ჯვარცმისა და დასაფლავების მოგონებას ეძღვნება. ქრისტიანებმა მთელი ეს პერიოდი მარხვასა და ღვაწლად უნდა გაატარონ. ეს გლოვის დღეები და ღვთისმსახურებასაც ტაძარში სამგლოვიარო, შავი სამოსი აცვიათ.

მოსაგონებელი მოვლენების უდიდესი მნიშვნელობის გამო ვინების კვირის ყოველ დღეს დიდს ეუწოდებთ.

ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი იესო ქრისტეს მოწაფეებსა და ხალხთან უკანასკნელი საუბრების გახსენებას ეძღვნება. ამ დღეებში მსხვერპლშეწირვა არ ხდება და აღევლინება მხოლოდ პირველშეწირულ ძღვენთა ლიტურგია, რომელთა დროსაც სახარება სრულად იკითხება.

ვინების შვიდეულის ოთხშაბათიდან, პირველშეწირულის ლიტურგიის შემდეგ, წყდება მუხლთა დრეკა და დიდი მეტანიები. ადარ იკითხება ასევე ყვერემ ასურის ღოცვა „უფალო და მეუფეო...“ და ფსალმუნთა კანონები. ფსალმუნების კითხვა განახლებს თომას კვირის მწუხრიდან.

### დიდი ორშაბათი

დიდ ორშაბათს ეკლესია უნაყოფო ღვთის განხილვას იხსენებს. ეს ღვთის იმ იუდეველთა სახეა, რომელთა გულშიც იესო ქრისტემ ჭეშმარიტი ნაყოფი ვერ პოვა - იქ მხოლოდ კანონების მშრალი აღსრულება დახვდა. ამიტომაც ამხილა ისინი და დაგმო. მაგრამ უნაყოფო ღვთის ასევე ყველა იმ ქრისტიანის სულის სიმბოლოცაა, რომელიც სინანულის ნაყოფს არ იხსამს. ეკლესიაც დიდ ორშაბათს სწორედ სინანულისკენ მოგვიწოდებს.

ლიტურგიაზე წასაკითხი სახარებით წმინდა ეკლესია ღვთისაგან გამდგომი იუდეველების ბედსა და იესო ქრისტეს მიერ აღწერილ სამყაროს აღსასრულს გვახსენებს. დიდ და მრავალრიცხოვან განსაცდელთა, იერუსალიმის დანგრევისა და სამყაროს აღსასრულის ნიშნების აღწერით ეკლესია მორწმუნეებს ამქვეყნიურ ბოროტებაზე ამაღლებისკენ, სულიერებასკენ, სიმშვიდისკენ, მოთმინებისკენ, ღოცვისა და სულიერი სიფიხილისკენ მოუწოდებს და მაცხოვრის მიერ სახარების მთელ ქვეყნაზე გავრცელებისა და რჩეულთა გულისთვის განსაცდელთა შეწყვეტის აღთქმით ანუგეშებს (მთ. 24,14-22).

### დიდი სამშაბათი

დიდი სამშაბათის მსახურებაზე ვისხენებთ იგავს ათი ქალწულისა და ტალანტების შესახებ და გრძელდება მათეს სახარების ორშაბათის დაწვეული საკითხები იესო ქრისტეს მორწმუნე მოსვლის შესახებ. ამით წმინდა ეკლესია კიდევ ერთხელ და საგანგებოდ მოუწოდებს მორწმუნეებს სულიერი სიფიხილისკენ, ჩვენთვის ბოძებული ნიჭისა და ძალების მართებული გამოყენებისკენ, განსაკუთრებით კი - მოწვევებისკენ, რასაც უფალი პირადად მის წინაშე ჩადენილ ღვაწლად გვითვლის; როცა გვეუბნება: „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მთ. 25,40).

### დიდი ოთხშაბათი

ეს ოქტავის მიერ იესო ქრისტეს გაცემის დღეა. ოთხშაბათის დამე მაცხოვარმა ბეთანი-აში გაატარა. აქ, სიმონ კეთროვნის სახლში, იმ დროს, როცა მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და უხუცესებს იესო ქრისტეს მოტყუებით შეპყრობა და მოკვლევა შეპირდათ გადაწყვეტილი, უცხო დედაცაცმა ძვირფასი ნელსაცხებელი ინახით მჯდომ მაცხოვარს უხვად დაასხა თავზე, რითაც

როგორც თავად მაცხოვარმა ბრძანა, იგი დასაფლავდეს მოამზადა.

აქვე, დედაკაცის უნაგარო საქციელის საპირისპიროდ, იესო ქრისტეს თორმეტოვანი ერთ-ერთი მოწაფის, იუდა ისკარიოტელის უმადურ სულში ჩაისახა ბოროტი აზრი, თავისი მასწავლებელი და უფალი იუდეველთა უკანონო საბჭოსთვის მიეცა. ამიტომ დიდი ოთხშაბათის საეკლესიო მსახურება განადიდებს იმ დედაკაცს, რომელმაც მაცხოვარს ნელსაცხებელი სცხო, იუდას ვერცხლისმოყვარებას და გამცემლობას კი კიცხავს და გმობს.

დიდ ოთხშაბათს წყდება დიდი მეტანიები, რომელთაც ყვერემ ასურის ღოცვის: „უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო...“ - დროს ვასრულებთ. ამის შემდეგ, პარასკევიამდე, ამ ღოცვას მხოლოდ მონაზვნები ასრულებენ სენაკებში. ამგვარად, ყვერემ ასურის ღოცვა ყველიერის კვირის ოთხშაბათს იწყება და ვინების კვირის ოთხშაბათს სრულდება.

### დიდი ხუთშაბათი

დიდი ხუთშაბათის მსახურებაზე იესო ქრისტეს მიერ მოწაფეთათვის ფხობა დაბანას, საიდუმლო სერობას, გეთსიმანიის ბაღში იესო ქრისტეს ღოცვას და იუდას მიერ მის გაცემას ვისხენებთ. აღვსრულება ბასილი დიდის წირვა, რომელიც სერობას იმის სამხსოვროდ უერთდება, რომ უფალმა ზიარების საიდუმლო სწორედ ამ დღეს, სერობის უამს, დაადგინა. სერობაზე „რომელთა ქერუბიმთას“ ნაცვლად იგავლობება: „სერობასა საიდუმლოსა შენისასა დღეს, ძეო ღვთისაო, ზიარებად შემოწყნარე“... სერობაზე მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდელმთავრები ფერხობანის რიტუალს ატარებენ: როგორც მაცხოვარმა დაბანას ფხვნი სერობის დაწვევამდე თავის თორმეტ მოწაფეს, ასევე ბას ფხვებს მღვდელმთავარი თორმეტ მღვდელმსახურს.

დიდი ხუთშაბათი იმითაცაა გამორჩეული, რომ ეს ერთადერთი დღეა მთელი წლის განმავლობაში, როცა, საჭიროების შემთხვევაში, მირონის კურთხევა შეიძლება (ეს მირონი მღვდელმსახურებაში მირონცხების საიდუმლოს შესრულებისას და ტაძრების კურთხევისას გამოიყენება).

დიდი ხუთშაბათის საღამოს სრულდება დიდი პარასკევის ცისკარი, რომლის დროსაც ე.წ. „თორმეტი სახარება“ ანუ ოთხი სახარებიდან ამოკრებილი 12 ნაწევრი იკითხება. მათში იესო ქრისტეს ის ვნებებია აღწერილი, რომლებიც ჯვარცმამდე შეემთხვა, დაწვეული მოწაფეთათ მისი უკანასკნელი საუბრიდან საიდუმლო სერობაზე, დამთავრებული მაცხოვრის სხეულის იოსებ არიმათიელის ბაღში დაფლვით და მისი საფლავისთვის მცველების მიწენით. „თორმეტი სახარების“ კითხვისას მორწმუნენი ანთებული სანთლებით ხელში ღვანან, რაც ერთი მხრივ, ჩვენი მხსნელის მიმართ მხურვალე სიყვარულის გამოხატულებაა, მეორე მხრივ კი იმის ხსოვნა, რომ მაცხოვარს ღვთიური დიდება ვნების დროსაც არ დაუკარგავს. ყოველი სახარების წაკითხვის შემდეგ სამრეკლოს ზარი იმდენჯერ ჩამოჰკრავს, რიგით მერამდენე სახარებაზე იკითხება.

აი, რომელი „სახარებები“ იკითხება ამ მსახურების დროს:

- პირველი - იოანეს სახარება 13:31 - 18:1
- მეორე - იოანეს სახარება 18:1-28
- მესამე - მათეს სახარება 26:57-75
- მეოთხე - იოანეს სახარება 18:28 - 19:16
- მეხუთე - მათეს სახარება 27:3-32
- მეექვსე - მარკოზის სახარება 15:16-32
- მეშვიდე - მათეს სახარება 27:33-54
- მერვე - ლუკას სახარება 23:32-49
- მეცხრე - იოანეს სახარება 19:25-37
- მეათე - მარკოზის სახარება 15:43-47
- მეთერთმეტე - იოანეს სახარება 19:39-42

მეთორმეტე - მათეს სახარება 27:62-66 მერვე სახარების შემდეგ იკითხება კანონი და იგალობება საგალობელი, რომელშიც ასახულია ის ეპიზოდი, როდესაც იესო ქრისტემ მის გვერდით ჯვარცმულ ავაზაკს შეუწოდო, რადგან ამ უკანასკნელმა სიკვდილის წინ შეინანა. ეს საგალობელი მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ სრულდება.

თორმეტი სახარების მსახურების დასრულების შემდეგ მორწმუნენი ტაძრის შუაგულში დაბრძანებულ ჯვარცმასთან

მიდიან, დიდი მეტანიის გაკეთებით ეამბორებიან და ტაძარს ტოვებენ. არსებობს ძველი ტრადიცია, რომლის თანახმადაც სანთელი, რომელიც თორმეტი სახარების კითხვისას ხელში გვეჭირა, ასევე ანთებული უნდა წავიდეთ სახლში და შესასვლელი კარის თავზე სანთლის აღისვან წარმოქმნილი კვამლით ჯვარი გამოვსახოთ. ამისთვის, რა თქმა უნდა, რაიმე ლამაზი უნდა მოვაზადოთ, რათა სანთლის შინ ჩაუქრობლად მიტანა შევძლოთ.

### დიდი პარასკევი

დიდი პარასკევის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ჯვარცმას, ჯვარიდან გარდამოსხნასა და დასაფლავებას იხსენებს. წირვა არ აღვსრულება, რადგან ამ დღეს ცოდვებისგან ჩვენს გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი შესწირა მსხვერპლად. სრულდება სამეუფეო ჟამი, რომლის დროსაც კვლავ იკითხება სახარება მისი ვინების შესახებ.

დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოსხნასა და დასაფლავებას ეძღვნება და, ჩვეულებრივ, შუადღისას, ორ საათზე აღევლინება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე იესო ქრისტე. მსახურების დაწყებამდე ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული საღვამი - „საფლაო“, საკურთხეველში კი, წმინდა ტრაპეზზე, საგანგებოდ მოხატულ დიდ ქსოვილზე, რომელზეც საფლაოში მყოფი მაცხოვარი ამოქარგული, დაბრძანებენ გარდამოსხნას.

საგალობლები, რომლებიც ამ დროს იგალობება, იესო ქრისტეს ვნებასა და ჯვარცმას ასახავს. სემიონ ღვთისმამის რქმელის ღოცვის გალობისა შავ, სამგლოვიარო სამოსში გამოსწობილი მღვდელმსახური აკმევს გარდამოსხნას, რომელიც ჯერ კიდევ საკურთხეველშია დასვენებული, „მამაო ჩვენსო“ გალობის შემდეგ კი ტროპარის „მშვენიერმა იოსებ ძელისაგან გარდამოსხნა უხრწელი გვაში შენი...“ გალობით მღვდელმსახურები წმინდა ტრაპეზიდან, როგორც გოლგოთიდან, აიღებენ გარდამოსხნას, თავს ზემოთ ასწვევენ, საკურთხევიდან გამოასვენებენ, ტაძარში შემოატარებენ და „საფლაოში“ დაასვენებენ. ამის შემდეგ სამღვდელთა და მლოცველები დიდ მეტანიას ასრულებენ გარდამოსხნის წინაშე და ეამბორებიან მას.

გარდამოსხნა ტაძრის შუაგულში არასრული სამი დღის განმავლობაში რჩება - მაცხოვარი ხომ აღდგომამდე სამი დღე იყო საფლაოში.

სერობის შემდეგ, საღამოს, შესაძლოა მწუხრიც, ე.წ. „ღვთისმშობლის გოდებაც“ აღველინოს.

დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხვის დღეა, როცა მოძღვრის კურთხევით, მორწმუნეთაგან ზოგი მთელი დღის განმავლობაში არავფერს ჭამს, ზოგი კი პურსა და წყალზეა. ძველი ტრადიციის თანახმად, ამავე დღეს, მზის ჩასვლამდე, წითლად იღებება სააღდგომო კვერცხები. კვერცხი ქრისტიანული ტრადიციით ზოგადად სიცოცხლის სიმბოლოა, წითლად შეღებვა კი იმისა, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსეულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააღდგომო კვერცხი აუცილებლად წითელი უნდა იყოს, ნებისმიერ სხვა ფრად შეღებულ კვერცხს ქრისტიანულ ტრადიციასთან არავფერს აქვს საერთო.

### დიდი შაბათი

დიდი შაბათის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ხორცი საფლაოში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და, ბოლოს, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეძღვნება. ცისკარზე მღვდელმსახურები „წმინდაო ღმერთოს“ გალობით გარდამოსხნას ტაძრიდან გამოაბრძანებენ და, ნიშნად იესო ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლისა და სიკვდილზე გამარჯვებისა, ხალხის თანხლებით ტაძრის ირგვლივ შემოატარებენ. შემდეგ ისევ ტაძარში შეაბრძანებენ და ღია აღსავლის კართან მიიტანენ. ეს იმის ნიშანია, რომ მაცხოვარი განუყოფლად იმყოფება მამა ღმერთთან და რომ თავისი ვნებთა და სიკვდილით კვლავ გაგვიღო სამოთხის კარი. ამ დროს იგალობება „მშვენიერმა იოსებ...“

იმ დროს, როცა გარდამოსხნას ისევ ტაძრის შუაგულში დაასვენებენ, ითქმება ეკტენია და იკითხება საწინასწარმეტყველო ეპიკლეო წინასწარმეტყველის წიგნიდან

გარდაცვლილთა მკვდრეთით აღდგომის შესახებ; სამოციქულო, რომელიც გვასწავლის, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტი აღდგომა ყოველი ჩვენგანის სულისთვის; სახარება, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ დააყენეს მცველები პილატეს თანხმობით მაცხოვრის საფლავთან, შესასვლელი ღოდით ჩარახეს და ზედ ბეჭედი დაასვეს.

დიდი შაბათის ღვთისმსახურება მართლმადიდებლური ლიტურგიული ტრადიციის მწვერვალია. ეს არაა იესო ქრისტეს სიკვდილისა და დასაფლავების ისტორიული მოვლენების დრამატული გათამაშება ან სახარებისეული რიტუალური დადგმა. ეს ღვთისმსახურება ღრმა სულიერი წვდომა მაცხოვრის იმ ქმედების მარადიულ არსში, რომლითაც მან კაცობრიობა იხსნა.

ბასილი დიდის საღვთო ლიტურგია ანუ წირვა ამ დღეს ჩვეულებრივზე გვიან იწყება და მწუხრს უერთდება. მღვდელი საკურთხეველში ტრაპეზთან კი არ მსახურობს, არამედ ტაძრის შუაგულში, გარდამოსხნასთან.

მცირე შესავლისა და „ნათელი მხიარულის“ გალობის შემდეგ იკითხება 15 საწინასწარმეტყველო საკითხავი ძველი აღთქმიდან. ყოველ მათგანში ნაწინასწარმეტყველება ღვთის მიერ სამყაროს ხსნა, რაც აღთქმული მესიის მოსვლით აღსრულდა.

სამყაროს შექმნისა (შესაქმეთა წიგნიდან) და ეგვიპტიდან ისრაელის გამოსვლის შესახებ (გამოსვლათა წიგნიდან) საკითხავებთან ერთად იკითხება ნაწევრი ესაია, ეზეკიელ, იერემია, დანიელ და სოფონია წინასწარმეტყველთა წიგნებიდან მესიის ვნების, აღდგომისა და ამ გზით კაცობრიობის ხსნის შესახებ.

საწინასწარმეტყველოსა და სამოციქულოს წაკითხვიდან იწყება მზადება მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულისთვის. ამ დროს სამღვდელოების სამგლოვიარო შესამოსელი საღვთსაწაულოთი იცვლება. ასევე იცვლება მთელ ტაძარში შავი ფერები ნათელით. ეს იმის ნიშნად ხდება, რომ მენელსაცხებლე დედებმა ადრიანი დილით, ჯერ კიდევ სიბერეში, მაცხოვრის საფლაოზე იხილეს ნათლით მოსილი ანგელოზი და მისგან ისმინეს ხარება იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ.

სადღესასწაულოდ შემოსილი დიაკონი, როგორც ანგელოზი, გამოდის ტაძრის შუაგულში, გარდამოსხნის წინ, და სახარების კითხვით ხალხს მაცხოვრის აღდგომას ამცნობს. ამის შემდეგ წირვა ჩვეულებრივ გრძელდება, ოღონდ „ღირს არსის“ ნაცვლად იგალობება „ანუ მტრი მე, დედაო...“.

წირვის დამთავრების შემდგომ აკურთხებენ ღვინოსა და პურს მლოცველთა სანუგეშოდ და განსამტკიცებლად. ამას „მოციქულთა საქმეების“ კითხვა მოსდევს, რაც შუადამიანის ღოცვამდე გრძელდება.

ღამის თორმეტ საათამდე აღვსრულება შუადამიანი, რომლის დროსაც იკითხება დიდი შაბათის კანონი, მის დასასრულს კი სამღვდელოება ტაძრის შუაგულიდან აღსავლის კართან უხმოდ გადაასვენებს გარდამოსხნას საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე, სადაც ის უფლის ამაღლების დღესასწაულამდე რჩება, ნიშნად იმისა, რომ იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე დაჰყო ამქვეყნად.

ამის შემდეგ მორწმუნენი სასოებით ელიან შუადამის დადგომას, როდესაც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული იწყება. აღდგომის სიხარული უდიდესი სიხარულისა, რომლის მსგავსიც დედამწიწის ზურგზე არც არის და არც შეიძლება იყოს. ეს არის უსასრულო სიხარული მარადიული სიცოცხლისა და ნეტარებისა. ეს ის სიხარულია, რომელზეც თვით უფალმა თქვა: „უხაროდეს გულთა თქვენთა და სიხარული თქვენი არავინ მიგოდოს თქვენგან“ (იოანე 16,12).

მომზადებულია მართლმადიდებლურ ჟურნალ „პარიპტის“-ში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით



რატომ წარგზავნა უფალმა მოციქულები საქადაგებლად მიწიერი მოღვაწეობის პერიოდში



ოფებოდნენ უფალთან, თითქმის განუშორებლად დაჰყვებოდნენ და მის მორჩილებაში იყვნენ. სხვა ადამიანები კი, როდესაც მაცხოვარი მათ ქალაქში ან სოფელში გამოჩნდებოდა, მოუსმენდნენ, მის სასწაულებს იხილავდნენ და წავიდოდნენ. როდესაც უფალი სხვა ადგილას გადავიდოდა, იქ სხვა ხალხი ხვდებოდა. მოწაფეები ფაქტობრივად ყველგან დაჰყვებოდნენ. ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როდესაც გარკვეული პერიოდის შემდეგ სიდონის მისეული გახდა მაცხოვრის სწავლება, ჭეშმარიტებას უფრო მეტად და მეტად აჩვენებდა უფალი თავის მოწაფეებს. ძალიან ბევრმა მოწაფემ დატოვა მაცხოვარი იმის გამო, რომ მათი გულები არ იყო გაღებული ღვთისთვის, – მისი სწავლება ვერ მიიღეს და წავიდნენ, დატოვეს უფალი. ე.ი. მოწაფეთა შორის იყვნენ ადამიანები, რომლებმაც გულთ ვერ მიიღეს უფალი, ასე ვთქვათ, აღტყინების მომენტში გააყენეს უფალს, მაგრამ შემდეგ ვერ ჩასწვდნენ მის სწავლებას და მიატოვეს, მაგრამ იყვნენ მოწაფეები, რომლებიც განუწყვეტლივ დაჰყვებოდნენ თან. სწორედ მათგან გამოარჩია უფალმა ჯერ 12 და შემდეგ – 70 მოციქული.

“იქნებ გვესაუბროთ მაცხოვრის მიერ მოციქულთა გამორჩევისა და საქადაგებლად წარგზავნისათა დაკავშირებით. სახარებიდან ცნობილია, რომ მაცხოვარმა ჯერ კიდევ მიწიერი მოღვაწეობის პერიოდში წარგზავნა მოციქულები საქადაგებლად და მისცა მათ სასწაულთა ქმნის ნიჭი. რა ნიშნით გამოარჩია უფალმა მოციქულებად წოდებული ადამიანები თავის მოწაფეთაგან და რა იყო იმ დროს მოციქულთა ქადაგების დანიშნულება?” – გვწერს ერთ-ერთი მკითხველი.

შევეცდებით, შეძლებისდაგვარად ვუპასუხოთ კითხვას... მოციქულთა გამორჩევისა და საქადაგებლად წარგზავნის შესახებ მოგვითხრობენ მათე 10, 1-15; მარკოზი 3, 13-19; 6, 7-13; ლუკა 9, 1-6; 10, 1-12).

– მიწიერი ქადაგების დაწყების დროიდან უფალს უამრავი ადამიანი დაჰყვებოდა თან. მათ შორის გამოჩნდა უამრავი მოწაფეც. როგორ შეიძლება განვასხვაოთ ჩვეულებრივი ხალხი მოწაფეთაგან?  
არქიმანდრიტი მამარი აბისაძე: – მოწაფეები გაცილებით ხშირად იმე-

ნა. ყველაზე საუკეთესო შანსი იუდას სულის გადასარჩენად იყო სწორედ ის, რომ თორმეტ მოციქულს შორის ყოფილიყო, თუმცა გამოიყენებდა თუ არა ამ შანსს, ეს თავად იუდას თავისუფალ ნებაზე იყო დამოკიდებული.

– რატომ წარგზავნა უფალმა მოციქულები საქადაგებლად თავისი მიწიერი მოღვაწეობის პერიოდში სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში? რა იყო იმ დროს მოციქულთა მისია და დანიშნულება?

– როდესაც უფალი შემდგომ თვითონაც შევიდოდა ამ ადგილებში საქადაგებლად, ადამიანთა გონება და გულები ასე თუ ისე, მომზადებული უნდა ყოფილიყო იმ სწავლების მისაღებად, რასაც უფალი უქადაგებდა. ამ ადამიანებმა მოციქულების უნდა მისულიყო. მოციქულები მათ აუწყებდნენ – ქრისტემ წარმოგვგზავნა, იესომ წარმოგვგზავნა. უბრალო მებაღურებიდან, უბრალო ადამიანებისგან ნაქადაგები სიტყვა აკვირებდა ადამიანებს. ისინი ფიქრობდნენ – თუ ეს უბრალო ხალხი ასეთ სწავლებას გვაძლევს, თავად ამ სწავლების მომცემი რაოდენ აღმატებული უნდა იყოს მათხოვ? და მოუთმენლად ელოდნენ უკვე თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში იესოს გამოჩენას, რათა მისგან მოესმინათ მხსენიანი სიტყვები. საქადაგებლად წარგზავნით ასევე მოხდა მოციქულთა გაბრძნობაც. უფალმა მოციქულები წინდაწინ შეამზადა მომავალი ღვაწლისთვის, რაც მათ მაცხოვრის ჯვარცმის, აღდგომის, ზეცად ამალღებისა და სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ უნდა ეტეირათო. საქადაგებლად წარგზავნილი მოციქულები პირდაპირ, კონკრეტულად აუწყებდნენ ადამიანებს, რომ მხსენილი უკვე მოსულია და სულ მალე თქვენს ქალაქშიც გამოჩნდება.

– როგორ მოქმედებდნენ და ქადაგებდნენ იმ დროს მოციქულები? ვიცით, რომ იმ პერიოდში მათი თვალთახედვა ჯერ კიდევ უფრო მიწიერი იყო...

– როდესაც მოციქულები ქადაგებდნენ ან ნებისმიერი ადამიანი ღვთის სიტყვას ქადაგებს, ეს ხდება სულიწმიდისგან, ღვთისგან. მაცხოვრის ჯვარცმისა და აღდგომის შემდეგ, როდესაც მოხდა მოციქულზე სულიწმიდის გარდამოსვლა, მათზე ნამდვილად ტრიალებს სახელოვანი ადამიანების აჩრდილი. აქვე თითქმის ყოველი მხრიდან გვიცქერს მათი მადლიერი თვალები და კოლხეთის ცხელი ვარსკლავების დასაკრეფად ზეცისკენ მიწისწაფვიან. ეს უცნობლად ბედნიერებაა. და აქვე, რამდენიმე თვალსაჩინო ადგილას, დავითაიას აზრით უნდა მოეწიოს მადლიერების ამსახველი წარწერა დაფაზე „გმადლობთ ჭაბუა!“ იდეის შინაარსი თითქმის მარტივია, მაგრამ ნამდვილად ორიგინალური.

მიმანიჩა, რომ ეს იქნებოდა მართლაც შესანიშნავი პატივმიცხება და სახელოვანი მწერლის ღვაწლის დაფასება. ბევრს დაუბადებია კითხვა, რატომ მაინც და მაინც სენაკი და არა ვთქვათ თბილისი და ქუთაისი, ან თელავი და ლანჩხუთი? ჩემი ახსნით იდეის აგებობა გაითვალისწინა რამდენიმე გარემოება: ჯერ ერთი, ჭაბუამ უკვდავ რომანში „დათა თუთაშია“, აღწერა სამეგრელოს რეალური ყოფა, როგორც საერთო ქართული ფენომენი, რაც მის შემოქმედებით ნაღვაწს უნიკალურს ხდის და ამავე დროს – ეროვნულს.

როცა ფილმი „დათა თუთაშია“ 1983 წელს გამოვიდა ეკრანებზე და დაიწყო მისი ტრიუმფალური სვლა მსოფლიო კერანებზე, სენაკის საზოგადოება იყო პირველი, რომელმაც მოიწვია ფილმის შემოქმედებითი კოლექტივი მწერალთან ერთად და გაუმართა გულმხურვალე შეხვედრა. ეს იყო ნამდვილი და გულთბილი აღიარება ფილმისა და მასში მონაწილე თითოეული მსახიობის მადალი კონტაქტობისა. მახსოვს ის დღე, რომელიც ჭეშმარიტ ზეიმად იქცა არა მხოლოდ სენაკისათვის. მეორე გარემოება, რომელიც განსაკუთრებით აღსანიშნავია, გახლავთ ის, რომ სენაკი დაფუძნებულია სახელოვანი

უკვე საბოლოოდ დაიგნა სულიწმიდამ. მოციქულთა პირთი მაშინაც თავად უფალი მეტყველებდა, ოღონდ მოციქულების სულიერი მდგომარეობა გაცილებით სხვა იყო პირველი ქადაგების პერიოდში და სხვა იყო მას შემდეგ, რაც უკვე მკვდრით აღდგომილი მაცხოვარი ნახეს და ამის შემდეგ დაიწყო ქადაგება.

– საქადაგებლად წარგზავნისას უფალი მოციქულებს აძლევს ეშმაკთაგან სხმის, კურნებისა და სხვა სასწაულთა ქმნის ძალასა და ნიჭს. რატომ იყო საჭირო, რომ ღვთის სიტყვის ქადაგებასთან ერთად მოციქულებს სასწაულებიც ადესრულებინათ?

– როგორც ვიცით, ღვთის სასწაულები ადესრულება იმისათვის, რომ ადამიანებმა სულიერი სარგებელი მიიღონ. მოციქულებს სასწაულთა ქმნის ძალა და ნიჭი იმის გამო მიეცათ ღვთისგან, რომ მათ სიტყვას ფასი დასდებოდა და უფრო ადვილად მისულიყო ადამიანთა გულებამდე. როდესაც ისინი ქადაგებასთან ერთად სასწაულებსაც ადასრულებდნენ, მათი სიტყვა უფრო დამაჯერებელი ხდებოდა – არ იყო მხოლოდ სიტყვა, საქმიანაც ამტკიცებდნენ თავიანთ ნათქვამს. იმდროინდელი კაცობრიობის გონება არ იყო ღვთისმეტყველებამ იმდენად ამაღლებული, რომ მხოლოდ სიტყვაში დაენახათ ჭეშმარიტება და როდესაც ადამიანები ხედავდნენ მოციქულთა მიერ ქმნილ სასწაულებს, უკვე მათ სიტყვასაც ერწმუნებოდნენ.

– საქადაგებლად წარგზავნის წინ მაცხოვარი მოციქულებს ეუბნება: „წარმართთა გზაზე არ იაროთ და სამარეთლთა ქალაქში არ შეხვიდეთ; არამედ ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებთან წადით“. რატომ უნდა ექადაგათ მოციქულებს მხოლოდ ისრაელიანთა, იუდეველთა შორის?

– რათა ისრაელიანები, იუდეველები წინ არ აღსდგომოდნენ მოციქულთა ამ პირველ ქადაგებას და მათთვისაც არ წამოეყენებინათ ის ბრალდება, რასაც მაცხოვარს უყენებდნენ – წარმართებთან და ცოდვილებთან ერთად დადისო. ამასთან, იმ დროს მოციქულთა ქადაგებით უფალს ისრაელიანები უნდა მიეყვანა ჭეშმარიტებამდე, ჯვარცმისა და აღდგომის შემდგომ კი უკვე მთელი კაცობრიობა.

საინფორმაციო ინიციატივა – გეაღლობთ ჭაბუა!



მწერლის შემოქმედება მშობლიური ხალხის ცხოვრების სარკეა, მისი ეთნოსის, ყოფითი და სამეაროს ასახვა. ჭეშმარიტი მწერალი თავისი მხატვრული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით თუ არ ემსახურება მშობლიურ ერს, არ ამადლებს მას, ამოდ შერება.

ბატონი ჭაბუას გამოსათხოვარ ჩემს წერილში, რომელიც 2013 წლის დეკემბერში „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა, ვწერდი: „მან მარადისობის გვირგვინი ღირსეულად დაიღვა, რადგან მისი განვლილი გზა თავად არის გვირგვინი ცხოვრებისა, შემოქმედებითი ტრიუმფისა, ცხოვრებაზე გამარჯვებისა“. ეს იყო გულიდან ამოსული წრფელი და მოკრძალებული სიტყვები. ბატონ ჭაბუაზე დაწერილია და თქმულია უფრო ორიგინალური, ამადლებული და მისი შემოქმედებას ზუსტად მისადაგებული ციტატები. ამით იმის თქმა მსურს, რომ იგი ჭეშმარიტად გამორჩეული შემოქმედია და ამდენად გამორჩეული პატივის მიგებას იმსახურებს.

მგონია, მგონია კია არა ჭეშმარიტად მისაღები აზრი დაუბადა ღვაწლმოსილ არქიტექტორსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ვახტანგ დავითაიას. მისი იდეის ორიგინალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქ სენაკში, მთავარ, რუსთაველის ქუჩაზე, ხელმარცხნივ – დასასვენებელ პარკში დგას გმირი ქიული შარტავას ძეგლი, ხელმარჯვნივ პარკში აღმართულია ცნობილი და სახელოვანი პოეტის გიორგი ჭალადიდელის მონუმენტი, ხოლო იქვე, ახლოს თანამედროვე მოწოდებულ სკვერს, ცნობილი მთარგმნელისა და პოეტის, ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის ნამდვილი მედროშის, ჯემალ აჯიაშვილის სახელი ეწოდება.

ქალაქის ცენტრის მოკლე მონაკვეთში,

ნამდვილად ტრიალებს სახელოვანი ადამიანების აჩრდილი. აქვე თითქმის ყოველი მხრიდან გვიცქერს მათი მადლიერი თვალები და კოლხეთის ცხელი ვარსკლავების დასაკრეფად ზეცისკენ მიწისწაფვიან. ეს უცნობლად ბედნიერებაა. და აქვე, რამდენიმე თვალსაჩინო ადგილას, დავითაიას აზრით უნდა მოეწიოს მადლიერების ამსახველი წარწერა დაფაზე „გმადლობთ ჭაბუა!“ იდეის შინაარსი თითქმის მარტივია, მაგრამ ნამდვილად ორიგინალური.

ვერისის სამეფოს ნაფუძარზე. ბევრს სრული წარმოდგენა არ აქვს ბერძნების მიერ ძველ ქალაქად „არქეპოლისად“ წოდებული, დასავლეთ საქართველოს მთავარი ქალაქის წარსულზე, რომელსაც დიპლომატიური და სამხედრო ურთიერთობა ჰქონდა მრავალი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო იმპერიებთან: პიზანტაასთან, ირანთან და სხვა წამყვან ქვეყნებთან. სწორედ აქ წყდებოდა მნიშვნელოვანი საკითხები, რომ არაფერი ვთქვათ ვერისელი ქუჯის მიერ ქართლის მეფის ფარნავაზისადმი გაწეულ დახმარებაზე, რამაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ერთიან ქართული სახელმწიფოს.

ამდენად, სენაკს, მისი წარსულისა და დამსახურების გათვალისწინებით, დასავლეთ საქართველოში, სხვა ქალაქებთან შედარებით, მკაფიო უპირატესობა აქვს და, აქედან გამომდინარე, უპირაინი იქნება სახელოვანი მწერლის, უკვდავსაფოვად მიძღვნილი მადლიერების დაფა წარწერით „გმადლობთ ჭაბუა“, სწორედ სენაკში მოეწიოს.

იდეის აგებობა საკუთარი მოსახრება გაუხიარა რაიონის გამგეობის ხელმძღვანელებს, თუმცა, სამწუხაროდ, როგორც ბევრ შესანიშნავ წამოწყებაზე, პასუხი დღემდე დუმული და უმოქმედობაა, ისევე, როგორც თავი ვერ მოება ასევე შესანიშნავ იდეას მოწოდებითი ქუჯისა და ფარნავაზის ერთობლივი ძეგლი, რომელიც იქნებოდა ორი ღირსეული წინაპრის ღვაწლის ნამდვილი დაფასება და ერთიანი საქართველოს სიმბოლო.

ბორის დავითაია, აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

წინამდებარე წერილში დიდი ქართველი მწერლის, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის, ზეცურ საქართველოში ბერი დავითად ამადლებული პიროვნების შემოქმედებით მიღწევების ანალიზს არ ვაპირებ, იმის გათვალისწინებით, რომ ნიჭიერ ქართველ მკითხველს კარგად უწყის, რომ ნამდვილი

# ზურაბ კვარაცხელია: მშვიდად ბანისკენ იოჰან...

ლეგენდარული, გენიალური იოჰან კროიფის გარდაცვალებამ უზომოდ დამწვევია გული და დამამწყურა... ვიცოდი უმძიმეს სნეულებას ებრძოდა, მაგრამ რატომღაც ვფიქრობდი, რომ დიდი იოჰანი ამ ბრძოლაშიც უთუოდ გამარჯვებული გამოვიდოდა... ვაი, რომ საფეხბურთო მოედანზე უბადლო მოპურთაღს ოხერ კიბოსთან ჭიდილში არაფერი გამოუვიდა... და, აი, 24 მარტს, მის ფაქტიურად მეორე სამშობლო კატალონიის დედაქალაქ ბარსელონაში აღესრულა თურმე...

გუშინდელ დღესავით მახსოვს ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი და ლეგენდარული მოპურთაღის საოცრად მაღალტექნიკური და გასაოცრად გულიანი, ჯივრიანი ბურთაობა... ჩემი ბავშვობის დროინდელი ფეხბურთი რამდენიმე სახელსა და გვართან ასოცირდება... მანუჩარ მანაიძეც უპირველესთაგანია მათში... მახსოვს როცა მანო ბურთს მიიღებდა - არაფრის მეშინოდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი მისთვის ამ ბურთის ამრთმევი არავინ იყო და თუ ვიმე არმთმევა ეს უეჭველად წესის დარღვევით მოხდებოდა... იოსო წაქცევაც თითქმის შეუძლებელი იყო... თითქმის მეთქი იმიტომ, რომ მგონი ერთადერთხელ ვნახე ის წაქცეული და მაშინ გაოცებისაგან მგონი პირი დავადე... დიახ, ძალიან გამიკვირდა მოედანზე რომელიღაც „კასტალიოს“ უხეშობის გამო წაქცეული დიდი მანუჩარის ხილვა... ის გაოცება დღემდე მომყვება, არადა იმ მატჩიდან სხვა არც არაფერი მახსოვს...

არა მგონია ეს ამ სიტუაციაში სასურველი იყოს, მაგრამ ერთი რამე მაინც მსურს აღვნიშნო და აი, კერძოდ რა: ჩვენ, სამამულო ფეხბურთის ქომაგები გასული საუკუნის 70-იან წლებში „დინამოს“ მიერ ჩატარებული და მოგებული დაუფიქარი, ფეროქი-ნაღური მატჩებით დღემდე, რომ ვამაყობთ - ხომ ფაქტია ისიც, რომ იმ ლეგენდარული „დინამოს“ დიდი კაპიტანი მაშინ სწორედ ლეგენდარული მანუჩარი იყო!...

## მარადონა თუ მისი... მისი თუ მარადონა...

რაც დრო გადის ეს საკითხი საფეხბურთო სამყაროში სულ უფრო და უფრო აქტიური ხდება... აქტიურად მიმდინარეობს ამაზე დავა-კამათი ფეხბურთის უბრალო ქომაგებს შორისაც... მაგალითად: მეც და ბევრ ჩემისთანა ფეხბურთზე შეყვარებულ ადამიანს ამაზე ჩვენი-ჩვენი აზრი გაგვანია და საცხებო ბუნებრივად, რომ ეს აზრები შესაძლოა სრულდებოდეს არ იყოს თანხვედრაში ერთმანეთთან... პირადად ჩემთვის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-ანი წლების მეორე ნახევარში ცხადზე უცხო-ადესი გახდა ის, რომ დიეგო არმანდო მარადონას სახით მსოფლიო ფეხბურთის პედალი შეუდარებელი, მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოპურთაღი... „ფეხბურთის ღმერთი“... ჩემთვის ჯერ კიდევ მაშინ ყოველგვარ აქტიურობას მოკლებული გახდა კითხვა: პელე თუ მარადონა... თუმცა ვხედავ, რომ ამაზე დღესაც კამათობენ მავანი... არ მიკვირს... გასაგებია ეს ყველაფერი... გასაგებია, რომ აქ ზოგჯერ ობიექტურობა შესაძლოა სუბიექტურობამ გადასწონოს... გასაგებია, რომ ბოლოდროს ეს გემოვნების საკითხიცაა... მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, სასურველიცაა და აუცილებელიც ნებისმიერი საკითხისადმი მიმართებაში ჩვენი დამოკიდებულება ობიექტურობის განცდით და კონიერული განხილვის იყოს მეტწილად გაჯერებული... ამასთან ერთად კიდევ არის რაღაც საჭირო და მე არ ვიცი ეს „რაღაც“ რა არის, ალბათ უფრო თემატიკისადმი ირაციონალური მიდგომა... და თუ ჩვენი ამ კონტექსტში განვიხილავთ საღიო საკითხს, მაშინ ბევრი რამე ცხადიც გახდება... სასაცილოა, როცა ჩემთან და არა მარტო ჩემთან კამათის დროს მავანი მშრალ სტატისტიკურ მონაცემებზე, მაგალითად გატანილი ბურთების რაოდენობაზე აკვირდებიან... ამ „ლოგიკით“ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უფროდენობიანი ან ბიციანი უნდა მივიჩნიოთ საუკეთესოებად... მე ახლა თითქოს ცოტას ვუტრირებ, მაგრამ

პრინციპში მართალი ვარ, რადგან მართლა აქვს მნიშვნელობა იმას იმ გოლების უმეტესობა ბოლოსდაბოლოს სად, რა რანგის ეროვნულ ჩემპიონატებში თუ ტურნირებშია გატანილი... სად სერია ა-ში ან ლალიგაში გატანილი და სად კიდევ, რომელიღაც სამხრეთამერიკული შტატის პირველობაზე ფეხბურთის კარებში პანტა-პუნტად შეყრილი ბურთები... არაფერს ვამბობ ორიგინალურს, მაგრამ წყალშეუვალე ჭეშმარიტებაა ის, რომ არც მარადონამდე და არც მარადონას შემდეგ არ მოხდებოდა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი ფაქტიურად ერთ ფეხბურთელს მოგვოს... შეუძლებელი მგონია ეს ვიმე მოახერხოს კიდევ... ზღაპარია ეს ვინმე შესძლოს და ამის გაკეთებაც არ უნდა მოვთხოვოთ არავის, თუნდაც ისეთ მოპურთაღსაც კი, როგორც არის გენიალური ლიონელ მესი... თანამედროვე ფეხბურთში ეს შეუძლებელია, რადგან ფეხბურთი თამაში მაქსიმალურად კოლექტიური გახდა და ისეთი დიდი საფეხბურთო ფორუმი რომ მოიგო, როგორც მსოფლიო ჩემპიონატი - მაქსიმალური გუნდური ძალისხმევა საჭირო... კი, ბატონო, მარადონას დროსაც არ იყო ამის გაკეთება იოლი საქმე... პირიქით, მაგრამ ის იყო დიეგო არმანდო მარადონა და იყო რაღაც ისეთი მის ბურთობაში, რომელიც გაფიქრებინებდა, რომ ის ამქვეყნიური ადამიანი კი არა, უცხოპლანეტელი იყო... მას ყველაფერი შეეძლო მოედანზე... დიახ, დიახ, „პეკე აღვნიშნე და კვლავ მიწა ხაზი გაუუსვა, რომ მან საშუალო დონის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული არგენტინის ნაკრები ფაქტიურად მარტომ გაანეშა... ვიმეორებ: თვით გენიალურ დიეგო მესისაც კი, არ შეუძლია ეს... თუმცა მესის თუ რამე აკლია - მსოფლიო ჩემპიონის ტიტული აკლია და ღმერთმა ჰქნას მან ეს ტიტულიც მოიპოვოს... არგენტინის საფეხბურთო ნაკრებმა 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თუ მოახერხა უმთავრესი ტროფეის მოგება, ვფიქრობ, რომ ეს მაინც უფრო კოლექტივის ხარჯზე იქნება... ვფიქრებ დღეიდან მარადონას აველანეს და მავანის 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მის მიმართ ის საყოველთაოდ ცნობილი „პოდ-ლობა“ რომ არ ჩაედინათ - დრმად ვარ დარწმუნებული, ის და მისი თანაგუნდელები კვლავ აწვედნენ მსოფლიო თასს... არც ის დაგავიწყდეს მისი საფეხბურთო გენიის წყალობით თუ როგორი მძლავრი და მრისხანე გუნდი გახდა იტალიის სერია ა-ში მანამდე არაფრით გამორჩეული „ნაპოლი“...

იოჰან კროიფის გენიას ჩემი დაკვირვებით ფეხბურთის მოყვარულთა თითქმის უმრავლესობა აღიარებდა... ყოველ შემთხვევაში მე ასე ვფიქრობ, რადგან მრავალი წლის გადასახელებე ვერ ვიხსენებ მასზე აუვის მიქმელ ადამიანს და არა აქვს მნიშვნელობა ეს ადამიანი გულშემატკივრობს თუ არ გულშემატკივრობს პოლანდიის ნაკრებს, „აიაქსს“ ან „ბარსელონას“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით „მფრინავი პოლანდიელი“ უნიკალური მოვლენაა... არ ვიქნები ორიგინალური თუ იმასაც ვიტყვი, რომ „ბარსელონას“ წარმოუდგენლად სანახაობრივი, ლამის ხელოვნებასთან სინთეზირებული საფეხბურთო ფილოსოფია ეს არის იოჰან კროიფის ფილოსოფია... დიახ, იოჰან კროიფის საფეხბურთო ფილოსოფიის მოედანზე განხორციელებას ახდენენ წლების მანძილზე „ბარსას“ სხვადასხვა თაობის გენიალური მოპურთაღები და მწვრთნელები... იოჰან კროიფის, გენიალური იოჰან კროიფის სული ტრიალებს „კამპ ნოუზე“... იოჰან კროიფის გონი, გული და სული განუყოფელია „ბარსელონასაგან“... არ შეიძლება კროიფის და კატალონიური გრანდის ერთმანეთისაგან დაშორება, რადგან ეს არაბუნებრივად იქნება და სრულიად არაკანონობიერიც... „ბარსელონა“ და კროიფი ავსებენ ერთ-ერთს... ვერც ერთი სხვა გუნდი თვინიერ „ბარსელონას“ ვეღარ შესძლებს კროიფის გენიალური და ფანტასტიური საფეხბურთო თეორიის პრაქტიკულ რეალიზებას... მშვიდად განისვენე გენიალური მოპურთაღო, მწვრთნელო და უბრალოდ დიადო ადამიანო... ნათელში იყოს შენი სული...

**დიდი მანუჩარი 67 წლის ბამზღარა...**

რა დიდი ასაკი ესაა, მაგრამ რა უღმობღაღად გარბის ეს დრო მაინც... არადა,

## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ „ლავრენტი ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა „ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“ (რედაქტორი ალექსანდრე შენბელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო „მარჯანიშვილის“ ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველისკოს წიგნი „კამპანია“, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუგზარ გოგუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო „მარჯანიშვილის“ ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374

### იხილო

- რას გეგხარ, რა დაგემატა?
- გარეთ რომ გამოვიდოდი, ცოლმა ყვავილები მომაყარა.
- ყვავილები და მასეთი ჭუჭყიანი?
- ყვავილები ქოთანში იდო.

\*\*\*

ებრაელის ნატვრა: ნეტავი გურული მაყიდინა თავის ფასში და იმ ფასად გამაყიდინა, რა წარმოადგენდა საკუთარ თავზე აქვს!

\*\*\*

ეკონომიკურმა კრიზისმა მოიარა მთელი აზია, ევროპა, ამერიკა და მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა.

\*\*\*

- უცხოეთში ყველაზე მეტად რა მოგეწონა?
- ბარები!
- აბა აქ რა ღმერთი გიწყურება, ბარსა და თოხს რომ ვერ გაგაკარებს კაცი!

\*\*\*

ქუთაისელს ძაღლმა უკბინა. ძაღლის პატრონი ნერვიულობს:

- შარვალი ხომ არ გაგიხიათ?
- არა, ქალბატონო, ტოტები ამიკაიწა და ისე მიკბინა!

### გარდაიხვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუპოვა ომი მკვლავრი ნაყოფიერი უარმაყოფიას, მის დაიკრვას რომ სლილოდა.

ლორენტი ბაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათვისებული სიმსივნური დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰეპრატის გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დაზიანებას, ყურვიდიან ჩირქვანას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებს მისი ვაჟიშვილი ზეზუა. კოორდინატები: თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე - 10-დან 16 საათამდე. ტელ: 593-22-66-51

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**